დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიანა კობესაშვილი

წევრები:

ლელა ბუბაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ნინო ბურჯალიანი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ლელა კაკაშვილი - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
მარინა თავართქილაძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ნინო როსტომაშვილი - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ნანა ნოზაძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ნანა შალამბერიძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
შაქრო ჟღენტი - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ედუარდ ნაკაიძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ნინო ჭიჭინაძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	235894476

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მესტია. სოფელი ცხუმარი
იურიდიული მისამართი	მესტია. ცხუმარი. ცხუმარის საჯარო სკოლა
ფაქტობრივი მისამართი	მესტია. ცხუმარი. ცხუმარის საჯარო სკოლა
საფოსტო ინდექსი	3200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tskhumari@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	551093409

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

და თარიღი)	ცენტრის 2023 წლის 28 ივლისის ბრძანება MES 9 23 0000942068
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	7,8 სექტემბერი 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	მესტია. სოფელი ცხუმარი
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	მესტია. სოფელი ცხუმარი
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	მესტია. სოფელი ცხუმარი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. დისტანციურად, Teams-ის პლატფორმის მეშვეობით, გამართა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, განიხილა ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შეიმუშავა დღის წესრიგი და წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა წინასწარ. ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის რეჟიმის შესაბამისად, მშვიდ და საქმიან ვითარებაში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეამოწმა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (შემუშავების, გაზიარების, გასაჯაროების და მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები), განსახორციელებელი ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი საქმიანობა. დაათვალიერა კურიკულუმთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები, შეამოწმა სკოლის ბიბლიოთეკა. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს: ადმინისტრაციას, მასწავლებლებს (კათედრების მიხედვით), დამრიგებლებს. ზემოთაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნის პროექტი.
ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 150	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	*აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	დაწესებულებას დაუდასტურდა 50 მერხისა და სკამის ფლობა. შესაბამისად 100 მოსწავლეზე შეძლებს (ორ ცვლაში) განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
ექსპერტთა ჯგუფმა სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა მეტწილ შესაბამისად

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	ხარვეზი

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი N2	საბაზო საფეხურის კურიკულუმი	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია სრულად უზრუნველყოს ინდიკატორში აღწერილი შეუსაბამობების აღმოფხვრა შესაბამისობის უზრუნვლყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

		კერძოდ, უზრუნველყოს მასწავლებლების შემთხვევაში ნასამართლობის შესახებ ცნობების წარმოდგენა, ხოლო 2020 წლის ივნისის შემდგომ დასაქმებული პირებისათვის სხვადასხვა კატგორიის ნასამართლობის შესახებ ცნობების სრულყოფილად წარმოდგენა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (ბრძანება N41, 06.09.2023 წ). განსაზღვროს აღნიშნული ცნობების წარმოდგენის ვალდებულება. უზრუნველყოს ტექნიკურ პერსონალის პირადი საქმეების მოწესრიგება.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნვლყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში: ა) 31.10.2023-15.11 2023 წ უზრუნველყოს ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების დამატება. ბ)25.10-10.11 2023 წ.პერიოდში უფლებამოსილ ორგანოსთან/ პირთან

		შეათანხმოს სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. გ. სპორტული აქტივობებისათვის არ გამოიყენოს სპორტული დარბაზი.
ინდიკატორი N3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლ ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნვლყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (5.11.2023-30.05.2024წ) უზრუნვლყოს სკოლის სრულად ადაპტირება შშმ პირებისათვის.
ინდიკატორი N3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ვებგვერდის გამართული ფუნქციონირება და სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის სრულად განთავსება.

	შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო, საშუალო საფხური)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
კომპონენტი N2.2	კურიკულუმის განხორციელება	სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ (08.09.2023-25.05.2024 წწ.) პრიოდში
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფხური)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ვერიფიკაციის დოკუმენტის შემუშავება უზრუნვლყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ (23.10.2023-15.11.2023 წწ.)პერიოდში.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	სკოლას მიეცა რჩევა - საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში არსებული რისკების მართვა, გაწეროს დეტალურად
ინდიკატორი N3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას	სკოლას მიეცა რჩევა: 1. მუდმივად, განახლებად რეჟიმში გამოაცხადოს ვაკანსია შესაბამის კადრებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე.
ინდიკატორი N3.2.1.1	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	დაწესებულებას მიეცა რჩევა ადამიანური რუსურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში დააკონკრეტოს შეფასების ამოცანები და ინსტრუმენტები ცალკეული პოზიციაზე

		დასაქმებულებისათვის.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებ რეაგირებას და პირველადი დახმარებ აღმოჩენას	შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან მიმართებით სკოლას მიეცა რჩევა, იზრუნოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის დასაქმებაზე. უზრუნველყოს უფლებამოსილი პირისთვის ვიდეოჩანაწერების მონიტორზე პერსონალური მონაცემების დაცვით წვდომა (იხ, ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	სკოლას მიეცა რჩევა მოახდინოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისათვის საჭირო ინვენტარის მარკირება.
ინდიკატორი N3.5.1.2	*დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.*	სკოლას მიეცა რჩევა საბიბლიოთეკო წესით დაამუშაოს სასწავლო რესურსების კატალოგი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N4.2.3.1	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი	სკოლას მიეცა რჩევა სსსმ მოსწავლესთან მუშაობის რეგულაციებში გაითვალისიწინოს ასევე სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მონიტორინგის და მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანების შესაბამისად.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)**	*რჩევა*
ინდიკატორი N2.2.2.6	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მარეგულირებელი აქტი/წესი/მექანიზმი, რომლითაც

		უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხა და შენახვა მინიმუმ 3 წლის ვადით.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*რჩევა*
ინდიკატორი N2.2.2.6	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მარეგულირებელი აქტი/წესი/მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხა და შენახვა მინიმუმ 3 წლის ვადით.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	*რჩევა*
ინდიკატორი N2.2.2.6	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მარეგულირებელი აქტი/წესი/მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული

		მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხა და შენახვა მინიმუმ 3 წლის ვადით.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები (მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლილი გვარმიანის 06/11/2023 წლის კორსპონდენცია MES 8 23 0001497142 და 13/11/2023 წლის კორესპონდენცია MES 3 23 0001534307). სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ზოგ ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა უკვე განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებები, ზოგ ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრა აქტივობების შესრულების ვადები, რესურსები, ჩართული მხარეები, შეაფასა რისკები. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და შესაბამისად კომპონენტების შეფასება არ შეესაბამება შეცვალა რიგ შემთხვევაში სრული შესაბამისობით, რიგ შემთხვევაში მეტწილი შესაბამისობით.

მორე სტანდარტის 2.2. კომპონენტის (კურიკულუმის განხორციელება) ხარვეზი გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. რაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმის სრულყოფილად განხორციელებას უშლის ხელს. ხარვეზის გამოსასწორებლად სკოლამ განსაზღვრა პერიოდი 08.09.2023-25.05.2024. სკოლას უკვე დაწყებული აქვს კომუნიკაცია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან. ექსპრტთა ჯგუფმა სკოლის მიერ განსაზღვრული რესურების, გათვლილი რისკების გათვალისწინებით რელევანტურად მიიჩნია სკოლის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადები, შესრულების პირობები, გაიზიარა მათი პოზიცია და 2.2 კომპონენტის შეფასება შეუსაბამოა შეცვალა მეტწილშესაბამისად სკოლას კი მისცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ვადებში ლაბორატორიის მოწყობა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას მისია და ხედვა დეკლარირებული აქვს 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში. სკოლის მისიაა ურთიერთზრუნვითა და თანამშრომლობით ვქმნით უსაფრთხო, ინოვაციურ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, თითოეული მოსწავლის წარმატებული და ბედნიერი მომავლისათვის. ხედვაა: ჩვენ ვიქნებით ყველაზე ინოვაციური და მოთხოვნადი სკოლა საქართველოში. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
2. სკოლა მისიაში აცხადებს, რომ შექმნის მოსწავლისათვის უსაფრთხო, ინოვაციურ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, ხოლო ხედვით, რომელიც ეფუძნება თანამშრომლობასა და ურთიერთზრუნვას, დასტურდება რომ დაწესებულება ორიენტირებულია შექმნას სოციოკულტურული სივრცე სასკოლო საზოგადოებისათვის.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
3. დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობდნენ დირექციის წარმომადგენლები და მასწავლებლები, რომლებმაც მუშაობის პროცესში გაითვალისწინეს 2022-2023 სასწავლო წელს სკოლის მიერ ჩატარებული სასკოლო საზოგადოების წევრების - პედაგოგების (გამოკითხვა ჩატარდა 2022 წლი სექტემბერში) და მშობლების (გამოკითხვა ჩატარდა 2022 წლის სექტემბერ - ოქტომბერში) გამოკითხვა.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის დეკლარირებული სტრატეგიულ გეგმაში. სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია სამეურვო საბჭოს ხდომაზე (2023 წლის 7 სექტემბერი, ოქმი N7) და წარდგენილია სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე (7 სექტემბერი 2023 წელი, ოქმი N 4), შესაბამისად სკოლის ფილოსოფია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლის ფილოსოფია გამოკრულია სკოლის დერეფანში.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.სკოლის სახელწოდება "სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლ ცხუმარის საჯარო სკოლა სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა) ტერმინს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ხდომის ოქმი N7 (7 სექტემბერი, 2023 წ.);
- პედაგოგიური საბჭო სხდომის ოქმი N7 (7 სექტემბერი, 2023 წ.).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგემვის მეთოდოლოგია (ბრძანება N19, 24.08.2023 წ), რომლის მიხედვითაც სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, პროცესის ადმინისტრირებას ახდენს სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი. სკოლის დირექტორი ბრძანებით ქმნის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფს. ჯგუფის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შესაძლებელია მოწვეული იქნას გარე ფასილიტატორი/ფასილიტატორები. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფს წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით ევალება სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავების პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა. სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების დადგენა .

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი და ახალ შვიდწლიან გეგმაზე სკოლა მუშაობის დაწყებას გეგმავს მიმდინარე გრძელვადიანი გეგმის დასრულებამდე არანაკლებ 6 თვით ადრე, რაც ადასტურებს სტრატეგიული გეგმის ციკლურ ხასიათს. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს სკოლის ფილოსოფიასთან თავსებად ამოცანებს: სკოლის მართვის დემოკრატიული სტრუქტურის განმტკიცებას, სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებას, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას სკოლის ბაზაზე, მატერიალური-ტექნიკური ბაზის სრულყოფას და საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარებას.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
3. სკოლის მირ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023 წლის 7 სექტემბრის სამეურვო საბჭოს სხდომის ოქმი N7) ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და განსაზღვრავს წლის განმავლობაში განსახორციელებელ იმ ამოცანებს და შესაბამის აქტივობებს, რომელიც ემსახურება სტრატეგიული გეგმის მიღწევას.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
4. დასკვნის პროექტში მითითებული იყო „სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის შესაბამისი ამოცანები, აქტივობები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. **არ არის განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რეალისტური რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური)“.**

   დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგნილ შესაბამისობის გეგმით ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრა 15.10.2023 -1.11.2023წ. პერიოდი. შესაბამისად, არგუმენტირებულ პოზიციაში უკვე წარმოადგინა შეცვლილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ინდიკატორით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი იყო ასახული. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რაც აისახა კომპონენტის შეფასებაზეც.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგემვის მეთოდოლოგია (ბრძანება N19, 24.08.2023 წ);
- 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023 წლის 7 სექტემბრის სამეურვო საბჭოს სხდომის ოქმი N7).

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განსაზღვრულია ყოველწლიურად, ხოლო სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის გადახედვა იგეგმება 3 წელიწადში ერთხელ. მონიტორინგისა და შეფასებისთვის დგება ჯგუფი სკოლის დირექტორის ბრძანებით. ჯგუფი უფლებამოსილია გამართოს საკონსულტაციო შეხვედრები და განხილვები შიდა და გარე დაინტერესებულ პირებთან/ჯგუფებთან. შეფასებას წინ უძღვის მონიტორინგის ეტაპი, ხოლო შეფასების შედეგები მომდევნო შესაბამისი გეგმების შემუშავების საფუძველს ქმნის.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა გამოხატავს მზაობას განახორციელოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.
   მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არ არის შეფასებადი.
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობა **მიმდინარე წარმოების ფარგლებში არ არის შეფასებადი**
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის **მიმდინარე წარმოების ფარგლებში ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვი მეთოდოლოგია სტრატეგიული დაგემვის მეთოდოლოგია (ბრძანება N19, 24.08.2023 წ).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები/პირებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, კათედრები, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, დირექცია, დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, მაწავლებელი ტექნიკური პერონალი. მათი ფუნქციები გაწერილია დოკუმენტში „სკოლის სტრუქტურა და ფუნქცია მოვალეობები“ (შემუშავებული დირექტორის მიერ და დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ 2022 წლის 30 სექტემბერი). დოკუმენტში წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448 ბრძანების, „საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ“ და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისია. სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქცია - მოვალეობები გაწერილია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებშიც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის ორგანიგრამის, ხელშკრულებაში გაწერილი ფუნქციების, ასევე საშტატო განრიგის გათვალისწინებით და მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების (პერსონალის შესახებ) მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია, არ ხდება ფუნქცია - მოვალეობების დუბლირება. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, მთლიანობაში, სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- „სკოლის სტრუქტურა და ფუნქცია მოვალეობები“ (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი);
- სკოლის ორგანიგრამა;
- საშტატო განრიგი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესი ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტების: სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, სკოლის შინაგანაწესის, პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების,

სასკოლო სასწავლო გეგმის (კათედრების ფუნქცია-მოვალეობები), დამრიგებლის მუშაობის დებულების, სკოლის წესდების მოთხოვნების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, წესდება და სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტები ადგენს გადაცდომის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს, პერსონალის შერჩევის პროცესების დაგეგმარების, ახალგაზრდა და კვალიფიციური კადრების მოზიდვასთან, სტაჟირებასთან, შეფასებასთან, პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთან, სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ინტერვენციულ გადაწყვეტილებებს კონკრეტულ დისციპლინურ გადაცდომებთნ მიმართებაში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლა შეძლებს რისკების მართვას და ფუნქციების შესაბამის პერსონალზე დელეგირებას, მათ შორის მასწავლებლის ჩანაცვლებას საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლით და გაკვეთილების გადანაცვლებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

სკოლას მიეცა რჩევა, რომ საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში არსებული რისკების მართვა, გაწეროს დეტალურად.

3. დასკვნის პროექტში მითითებული იყო „სკოლა მასწავლებლის შერჩევას, კადრების მოზიდვასა და დასაქმებას გეგმავს ადამიანური რუსურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული რეგულაციების დაცვით, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანებასთან და შესაბამისად უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით. რაც შეეხება პერსონალის (მასწავლებლის გარდა) დასაქმებას, გადაწყვეტილება მიიღება სკოლის დირექტორის მიერ. მასწავლებლების პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ მათ არ აქვთ ცნობა ნასამართლობის შესახებ (საქართვლოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. მუხლი 21) და 2020 წლის ივნისის შემდგომ მიღებულ პერსონალის (3 მასწავლებელი და ტექნიკურ პერსონალი) პირად საქმეებში არ არის წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33 [1] -ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. დაწესებულებას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (ბრძანება N41, 06.09.2023 წ) არ აქვს განსაზღვრული აღნიშნული ცნობების წარმოდგენის ვალდებულება. ტექნიკურ პერსონალს არ ჰქონდა პირადი საქმე“.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა, რომ 8.09.2023-15.10.2023 წ. პერიოდში უზრუნველყოფდა აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრას და დამატებით წარმოადგინა პერსონალის ნაწილის პირადი საქმე და ნასამართლობის ცნობები. წარმოდგნილი დოკუმენტაცია არ იყო სრული და ექსპერტთა ჯგუფმა კომპონენტის შეფასება სრულ შესაბამისობით ვერ შეცვალა. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის მიერ აღნიშნული ხარვეზების

გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადა რელევანტურია, გათვალისწინებულია რისკები ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ შესაძლებლია სკოლამ უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა, გაიზიარა სკოლის პოზიცია და კომპონენტის შეფასება შეუსაბამო შეცვალა მეტწილ შესაბამისად. სკოლას მიეცა რეკომენდაცია სრულად უზრუნველყოს ინდიკატორში აღწერილი შეუსაბამობების აღმოფხვრა.

4. სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა 1 მენტორი, 6 უფროსი და 10 უსტატუსო მასწავლებელი. ადმინისტრაციის შემადგენლობაშია 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 2 დამლაგებელი, 1 დარაჯი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 ცეცხლფარეში. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი დატვირთულია საათებით შესაბამისი უფლების მოპოვების საფუძველზე. ვიზიტის პროცესში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები. სკოლაში პირველ უცხოურ ენას ასწავლის დისტანციურად მენტორი მასწავლებლი, სხვა საგნები ისწავლება პირისპირ რეჟიმში. პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლაში სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკას ასევე ისტს და დაწყებითი კლასებს (III კლასი) ასწავლიან მასწავლებლები, რომელთაც აქვთ სრული ზოგადი განათლება, ბუნებას ასწავლის კვალიფიკაციით აგრონომ მენეჯერი. სკოლაში დასაქმებულია ჯამში 10 უსტატუსო მასწავლებელი. აღნიშნულ მასწავლებლებს 2015 წლამდე აქვთ შრომითი ურთიერთობა წარმოშობილი სკოლასთან და ზოგადი განათლების შესახებ კანონის 61[2] მუხლის შესაბამისად 2015 წლის 1 იანვრამდე მოქმედ მასწავლებელს მასწავლებლისთვის დადგენილი მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ეთვლება. აღნიშნულ მასწავლებლებს ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ შესაბამისი კადრის/ვაკანსიის დაფარვამდე. ყველა ზემოაღნიშნულ პოზიციაზე გამოცხადებულია ვაკანსია. პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლას გაწერილი აქვს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

სკოლას მიეცა რჩევა 1.მუდმივად, განახლებად რეჟიმში გამოაცხადოს ვაკანსია შესაბამის კადრებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კათედრების და მრჩეველთა საბჭოს ოქმები, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების პროცედურა ამტკიცებს, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი სკოლას ცალკე დოკუმენტად არ ჰქონდა წარმოდგენილი, თუმცა სკოლის შენაგანაწესის და ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და სხვ. წარმატებული გამოცდილების გაზიარების მექანიზმი კი სკოლას კათედრების ფუნქცია მოვალეობების ნაწილში აქვს წარმოდგენილი, რომლის მიხედვითაც კათედრას ევალება კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ პედაგოგებს შორის ხშირია საუკეთესო

პრაქტიკის გაზიარების შემთხვევები საგნობრივ კათედრებზე. მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო მასწავლებლების წარმატებული საქმიანობის დამადასტურებელი შესაბამისი სიგელები და სერტიფიკატები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი (დამტკიცებული სამეურვო საბჭოს სხდომის ოქმი N 6, 2023 წლის 1 სექტემბერი);
- „სკოლის სტრუქტურა და ფუნქცია მოვალეობები“ (სამეურვო საბჭოს სხდომის ოქმი N5, 4.08.2023 წ);
- ადამიანური რსურსის მართვის პოლიტიკა (ბრძანება N41, 06/09/2023 წ.);
- პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- კათედრბისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია შესრულებული სამუშაოს შეფასება. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით პერონალის შეფასების მეთოდად გამოიყენება თვითშეფასება, გასაუბრება, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ. იმავე დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ შეფასება ემსახურება მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვას. პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული მასწავლებლების შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა ხდება ასევე პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ. აღნიშნული ჯგუფი ახდენს დაკვირვებას საგაკვეთილო პროცესზე, ხარისხის ჯგუფის სხდომებზე კი განიხილავს მასწავლებელთა საჭიროებებს და განსახორციელებელ აქტივობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დაწესებულებას მიეცა რჩევა ადამიანური რუსურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში დააკონკრეტოს შეფასების ამოცანები და ინსტრუმენტები ცალკეული პოზიციაზე დასაქმებულებისათვის.

2. დაწესებულებაში ფუნქციონირებს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის მუშაობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით (ბრძანება N28. 19.06.2023 წელი). ჯგუფი ესწრება მასწავლებლებს და აფასებს მათ საქმიანობას, ავლენს საჭიროებას და ახდენს წარმატებული პრაქტიკის გაზიარებას. სკოლაში არიან ე.წ. უსტატუსო მასწავლებლები. მათი საქმიანობაც ასევე ფასდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით და გაიცემა განმავითარებელი უკუკავშირი. საგაკვეთლო პროცესზე ურთიერთდასწრება რეგულირდება წინასწარ შემუშავებული განრიგით და ემსახურება მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. გამოვლენილი საჭროებებიდან გამომდინარე მასწავლებლები ესწრებიან სხვადასხვა სემინარებსა და ტრენინგებს. საგაკვეთილო პროცესზე დაკვირებისთვის სკოლა იყენებს როგოც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებულ შეფასების რუბრიკებს, ასევე საკუთარ შემუშავებულ რუბრიკებს. რაც შეეხება ადმინისტრაციას, დირექტორი დაკვირვებით აფასებს მათ საქმიანობას ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე და გასცემს შესაბამის ინსტრუქციას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას რაც, ძირითადად, გამოიხატება დროული და ვალიდური ინფორმაციის მიწოდებასა და შესაბამის ტრენინგებზე მათ დარეგისტრირებაში. ასევე სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და ,,კრიტიკული მეგობრის'' ინსტიტუტის ფუნქციონირება, რაც დასტურდება კათედრის სხდომის ოქმებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით (მუხლი 16) სკოლა უზრუნველყოფს ახალდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაციისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესს. პროცესზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. ახალდანიშნულ თანამშრომელს სკოლა აცნობს სკოლის მიზნებს, ღირებულებებს, სტრატეგიულ გეგმას, შინაგანაწესის მოთხოვნებს, სკოლაში მოქმედ პროცედურებსა და წესებს, თანამდებობრივ ინსტრუქციას და შეფასების კრიტერიუმებს .
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
5. სკოლას შინაგანაწესით განსაზღვრული აქვს დასაქმებულთა წახალისების სახეები და გამოყენების წესი, სადაც განსაზღვრულია, დასაქმებულის მიმართ გამოსაყენებლი წახალისების ფორმები. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების სკოლის დირექციის მხრიდან წახალისების მაგალითებად მასწავლებლებმა მოიყვანეს მუნიციპალურ დონეზე განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის პროცესში სკოლის მხარდაჭერა და წარმოადგინეს პროექტებში მონაწილეობის და/ან წარმატების დამადასტურებელი სიგელები და სერტიფიკტები. სკოლის მასწავლებლის ინიციატივით და სკოლის მხარდაჭერით სკოლა ჩაერთო პროექტში, რომლის ფარგლებშიც სკოლის ტერიტორიაზე მოეწყო სათემო დანიშნულების სპორტული მოედანი.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რეურსებს მართვის პოლიტიკა (ბრძანება N41, 06.09.2023 წ);
- პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დბულება (ბრძანება N30, 23.08.2023 წ);
- შინაგანაწესი;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები.

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე ციკლს. აღნიშნულზეა დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სასწავლო პროცესის (სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა და შეფასების შედეგების ანგარიში სამეურვეო საბჭოსთან), და სკოლის ბიუჯეტის მართვა. სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესს (სასკოლო სასწავლო გეგმა) და შესაბამის ბიუჯეტს, ახორციელებს დაგეგმილ ღონისძიებებს და პერიოდულად, კათედრების და პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე აფასებს, სასწავლო წლის ბოლოს კი საქმიანობის შემაჯამებელი შეფასების შედეგებიდან გამომდინარე გეგმავს შეიმუშაოს რეკომენდაციები ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის შესამუშავებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია/ წარმოდგენილია სკოლის რეგულაციებში: შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ვერიფიკაციის წესი, კათედრების დებულება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტში გაწერილია შესაბამისი საქმიანობის აღმწერი პროცესები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი (ბრძანება N32, 24.08.2023 წ), რომელიც დაინტერესებულ პერსონალს/მოსწავლეს/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს საშუალებას მისცემს, გაასაჩივროს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც ჩათვლის ღირსების შემლახავად. განსაზღვრულია დირექციის ვალდებულება - ყველა დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებებისა და სკოლაში არსებული საჩივრების განხლვის წესზე. განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეული/პირი ვისაც აქვს უფლება განიხილოს საჩივარი, სხვადასხვა პროცედურისთვის გათვალისწინებულია ვადები, წარსადგენი საჩივრის ფორმა. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი მასწავლებლის, მშობლისა და მოსწავლის შემადგენლობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში არის ღია და მიმღებლობითი გარემო. დირექცია იღებს ვალდებულებას თითოეულ დაინტერესებულ პირს მიაწოდოს, ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების განხილვის სისტემისა და პროცედურების შესახებ. საჩივრების განიხილავს სკოლის დირექტორი, სამეურვეო საბჭო ან სკოლის დისციპლინური კომიტეტი. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და შესაბამისი სასჯელები. სკოლაში დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი (ბრძანება N32, 24.08.2023 წ) ;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია;
- ანგარიში სამეურვეო საბჭოსთან;
- სკოლის ბიუჯეტის მართვა;
- კათედრებისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები;
- შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებთან და სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს office 365 - Outlook, OneDrive, Teams-ს და სოციალურ გვერდ Facebook-ს. დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, გრიფმინიჭებულ და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხას, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის ნაწილებს. უკუკავშირისთვის ძირითადად გამოიყენება პირისპირ შეხვედრები. სკოლას გაცნობიერებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კონტრუქციული უკუკავშირის მიღების მნიშვნელობა სკოლის განვითარებისათვის და შესაბამისად მის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანსაც საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმოადგენს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში მათი მონაწილეობით. სამეურვეო საბჭო, სკოლის მართვის უმაღლესი ორგანო, წარმოდგენილია მშობლებით, მასწავლებლებითა და მოსწავლეებით, მოსწავლეთა თვითმმართველობაში გაერთიანებული არიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. მასწავლებელთა გაერთიანება - პედაგოგიური საბჭო მონაწილეობს სასკოლო ცხოვრების მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიღებაში, კათედრები - კათედრის დონზე გადაწყვეტილებები მიღების პროცესში არიან ჩართული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- დამრიგებელთა კრებების ოქმები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- კათედრების სხდომების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დასკვნის პროექტში მითითებული იყო „სკოლის ტერიტორია შემოღობილია და შეზღუდულია სკოლის ეზოში ავტომობილების გადაადგილება. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, სკოლის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 12 ვიდეოკამერა, რომლითაც სრულად ვერ კონტროლდება სკოლის ეზო (სპორტული დარბაზის მიმდებარე ტერიტორია ეზოს მხრიდან) და ერთი კიბის უჯრედი (სკოლას აქვს 2 შიდა კიბე). ვიდეოჩანაწერების ჩვენება ხდება მონიტორზე, რომელიც განთავსებულია დირექტორის კაბინეტში და მასზე წვდომა აქვს სკოლის დირექტორის მ.შ-ს, რომელიც ამავდროულად არის მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებული უფლებამოსილი პირი. დირქტორის მ.შ-ს პარალელურად აქვს საათობრივი დატვირთვა.

სკოლას უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული არ აქვს სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არც მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ. არ აქვს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა რეგისტრაციის ბარათი, რომლის თანახმადაც სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მიმდინარე წლის 10 აგვიტოს მიღებული იქნა სკოლის განცხადება დაჩქარებული წესით საექსპერტო მომსახურების გაწევის შესახებ. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა ექთანი/ექიმი, არ ჰქონდა შემუშავებული პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი."

სკოლას მიეცა რჩევა:

ა) **უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირად არ განსაზღვროს სკოლის დირექტორი მისი დატვირთულობიდან გამომდინარე;**

ბ) **იზრუნოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტის დასაქმებაზე.**

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა მანდატურის სამსახურთან გაგზავნილი კორესპონდენცია უფლებამოსილი პირის გადამზადების შესახებ და ბრძანება ახალი უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ. ვიზიტის პერიოდში ვიდეოჩანაწერების მონიტორი დირექტორის კაბინეტში იყო განთავსებული და უფლებამოსილი პირიც დირქტორი იყო. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს უფლებამოსილი პირისთვის ვიდეოჩანაწერების მონიტორზე პერსონალური მონაცემების დაცვით წვდომა.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგნისას სკოლამ წარმოადგინა : ა.შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგნტოს წერილი MIA 9 23 02653760 და თანადართული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედვლობის სახანძრო-ტქნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N226.

ბ.პირველადი დახმარების აღმოჩენის მქანიზმები და მისი დამტკიცების ბრძანება.

გ. ექთნის აყვანის დამადასტურებელი დოკუმნტაცია: ექთნის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და გასაუბრების ოქმი.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრა:

ა) დამატებითი ვიდეოკამერების დამონტაჟების ვადად პერიოდი 31.10.2023 წ-15.11 2023 წ.

ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან 25.10.2023-10.11 2023 წ. პერიოდი.

რაც შეეხება სკოლის შენობის მდგრადობას, სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექპერტიზის ეროვნული ბიუროს 18.08.2023 წლის N5005369723 კორესპონდენცია და ქსპერტის დასკვნა N005870523 რომლის მიხედვითაც „სსიპ ცხუმარის საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ექსპლოატაციისათვის უსაფრთხოა, სკოლის სპორტული დარბაზის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარობა არადამაკმაყოფილებელია, მისი ექსპლუატაცია საფრთხის შემცვლია და საჭიროებს გამაგრება-გაძლიერებითი სამუშაოების ჩატარებას, თუმცა შენობის დაზიანებათა და ფიზიკური ცვეთის გათვალისწინებით, არარენტაბლურობიდან გამომდინარე მისი აღდგნა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად". ექპრტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ის გარემობა რომ სპორტული დარბაზი სკოლის პირველი სართულზე, ფლიგლშია განთავსებული და შესაძლებელია მისი სრულად იზოლირება, ხოლო სკოლას აქვს დიდი ზომის ოთახი სადაც შესაძლებელია სპორტული აქტივობების ჩატარება, ამასთან ეზოში მოწყობილია სპორტული მოედანი და შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ სკოლა სპორტულ დარბაზის ნაცვლად გამოიყენებს სპორტულ მოდანს და დიდ საკლასო ოთახს სპორტული აქტივობებისთვის კურიკულუმის განხორციელება შესაძლებელი იქნება.

სკოლას მიცა რეკომენდაცია: სპორტული აქტივობებისათვის არ გამოიყენოს სპორტული დარბაზი, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (31.10-15.11, 2023 წ) უზრუნველყოს დამატებით ვიდო-სამეთვალყურო კამერების დამონტაჟება, 25.10-20.11.2023 წ. პერიოდში უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება და დამტკიცება. აღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა კომპონენტის შეფასება არ შეესაბამება შეცვალა მეტწილშესაბამისად.

2. სკოლას - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ ბრძანების საფუძველზე შექმნილი ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას. სკოლაში გამოვლენილ დარღვევებზე შინაგანაწესში განსაზღვრული სახდელების გათვალისწინებით ხდება შესაბამისი რეაგირება. სკოლის პრაქტიკაა სართულების მიხედვით მასწავლებელთა მორიგეობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს რამდენიმე დოკუმენტი:

ა)ფიზიკური და ფსიქოემოციური უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი (ბრძანება N50. 07.09.2023 წ.), რომელიც პედაგოგების ვალდებულებად ადგენს სკოლისა და კლასის დონეზე პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას.

ბ)რეფერირების სამოქმედო გეგმა (ბრძანება N37 06.09.2023 წ.), რომლითაც განსაზღვრულია სკოლის უფლებამოსილება ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის ნაწილში. ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენიდან /შემთხვევის გამოვლენიდან დაწყებული რეაგირებით დათავრებული.

გ) „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება“ (ბრძანება N40. 06.09.2023 წ). დოკუმენტის მიხედვით სკოლა იღებს ვალდებულებას აწარმოოს საგანმანათლებლო-სანფორმაციო ხასიათის ღონისძიებები, როგორც მოსწავლეებთან ასევე მშობლებთან (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ 06/ნ-ით განსაზღვრული მუხლი 10. საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები განსაზღვრულ ვალდებულებები). გარდა ანიშნულისა, სადამრიგებლო საათი გამოიყენება იმ პრობლემებზე სასაუბროდ, რაც აწუხებთ მოსწავლეებს და სკოლის პრაქტიკაა ბულინგის კვირეულის, დისკუსიების მოწყობა. ფილმებისა და ნაწარმოებების განხილვა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა სკოლის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ სველ წერტილებში არ იყო დაცული მოსწავლეთა პრივატულობა (სველ წერტილებში კაბინებს არ ჰქონდა კარები).

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სველი წერტილების სურათები სადაც ნათლად ჩანს, რომ კაბინებს აქვს კარები და პრივატულობა დაცულია. შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია დაკმაყოფილებულად.

4. სკოლას შემუშვებული აქვს დოკუმენტი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (ბრძანება N52, 09.09.2023 წ.), რომლის მე-9 მუხლით განსაზღვრულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. აღწერილია სკოლაში ყოველდღიური, ყოვლკვირეული, ყოველთვიური და გენერალური დასუფთავებისას სტანდარტული მოთხოვნები. სკოლის დასუფთავებისათვის გამოყენებული ინვენტარი ინახება ცალკე სათავსოში. ამრიგად, სკოლა გამოხატავს მზაობას უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. სკოლის სანიარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს 2 დამლაგებელი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

სკოლას მიეცა რჩევა მოახდინოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისათვის საჭირო ინვენტარის მარკირება

5. სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ (ბრძანება N9, 25.04.2023წ.). დოკუმენტით განსაზღვრულია მოსწავლეების, თანამშრომლების, მშობლების და ვიზიტორების პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები. სხვადასხვა კატეგორის მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილებები. სკოლასა და მშობელს შორის, ასევე სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია შესაბამისი მუხლი, რომლითაც მხარეები აცხადებენ თანხმობას დამუშავდეს მათი პერსონალური ინფორმაცია. ზმოთთქმულის გათვალისწინებით სკოლას აქვს მზაობა დაამუშაოს და დაიცვას მის ხელთ არსებული პერსონალური მონაცემები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“. მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირადი საქმეები დაცულია კარადებში და მათზე წვდომა აქვს სკოლის საქმისწარმოებელს, სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამაა. განსაზღვრულია იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომლებსაც ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მონაცემებზე და ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. სკოლაში შექმნილი მრჩეველთა საბჭო, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, განახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 06/ნ ბრძანები შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ (ბრძანება N-9, 2023 წლის 25 აპრილი);
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (ბრძანება N52 , 09.09.2023 წ) ;
- რეფერირების სამოქმედო გეგმა (ბრძანება N37 . 06.09.2023 წ).;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;
- პერსონალთან და მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლა მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცხუმარში. საკადასტრო კოდი N42.10.35.001, მიწის ფართობი - 110044.00 კვ.მ, აქედან: N1 შენობის ფართობია 1530 კვ.მ., N2 შენობის ფართობია 38 კვ.მ. (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან). სკოლაში ფუნქციონირებს: 12 საკლასო ოთახი (საკლასო ოთახებში განთავსებულია 50 მერხი), კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, სააქტო დარბაზი, 2 სპორტული დარბაზი დიდი და პატარა, დიდ სპორტულ დარბაზს აქვს სივრცეები გასახდელებისათვის, რომელიც საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. ე.წ. პატარა სპორტული დარბაზი არის დიდი ოთახი, რომელშიც ტარდება სხვადასხვა სპორტული აქტივობები, ამ ეტაპზე განთავსებულია ტენისის მაგიდა. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტის მერია აპირებს სკოლის სპორტული დარბაზის სრულ რეაბილიტაციას. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი გარე სპორტული მოედანი. პირველ და მეორე სართულზე ფუნქციონირებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით აღჭურვილი 2 სველი წერტილი (თითოეული 2-2 კაბინით). სკოლას აქვს 12 ლეპტოპი, 3 სტაციონარული კომპიუტერი, 1 პრინტერი (კომბაინი) და 3 პროექტორი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია გრიფირებული სახლემძღვანელოები და 637 ერთეული საკითხავი მხატვრული ლიტერატურა. სკოლას აქვს ორი შემოსასვლელი

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, სამედიცინო კაბინეტში დგას კომპიუტერი. ადმინისტრაციული საჭიროებისათვის გამოიყენება 1 კომპიუტერი და პრინტერი. სკოლას აქვს 3 პროექტორი, რომელიც გამოიყენება საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო პროცესში. სკოლას გააჩნია მხატვრული წიგნადი და გრიფირებული სახელმძღვანელოების ფონდები, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში. აქვეა სამკითხველო დარბაზი, სადაც განთავსებულია კატალოგი და საენციკლოპედიო მასალები, მეთოდური ლიტერატურა. სკოლას შემუშავებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, მაგრამ არ აქვთ საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი. წიგნები აღრიცხულია საინვენტარიზაციო წიგნში მხოლოდ რიგობრივი თანმიმდევრობით. „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში“ აღნიშნულია, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვთ ბიბლიოთეკაში გაწევრიანებულ პირებს. გაწევრიანება შეუძლია სკოლის მოსწავლეებსა და სკოლის პერსონალს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

სკოლას მიეცა რჩევა საბიბლიოთეკო წესით დაამუშაოს სასწავლო რესურსების კატალოგი.

3. დასკვნის პროექტში მითითებული იყო „სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, რადგან სკოლის შესასვლელებსა და მეორე სართულზე ასასვლელ კიბეებზე არ არის დამონტაჟებული პანდუსები. შშმ პირები ვერ ისარგებლებენ მეორე სართულზე განთავსებულ სააქტო დარბაზით, ბიბლიოთეკითა და ისტ-ის ლაბორატორიებით. სკოლაში არ არის ადაპტირებული სველი

წერტილი შშმ პირებისათვის. სკოლას პირველ სართულზე გამოყოფილი აქვს ერთი საკლასო ოთახი რომელიც მოაზრებულია რესურსოთახად. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ და შშმ მოსწავლე.“

დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლის შშმ პირებისათვის ადაპტირების ვადად განსაზღვრა პერიოდი 15.11.2023-30.05.2024 წ. გაითვალისწინა რისკები და ასევე ჩართული მხარეები. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და სკოლას მისცა რეკომნდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოს სკოლის სრულად ადაპტირება შშმ პირებისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომპონენტის შეფასება არ შეესაბამება შეიცვალა მეტწილ შესაბამისობით.

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში ფუნქციონირებს სააქტო დარბაზი, რომელშიც ხშირად იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, სკოლის მეორე სართულის ფოიე გამოიყენება მოსწავლეთა ნამუშევრების გამოსაფენად. ამ ფოიეში განთავსებულ სტენდზე გამოფენილია მოსწავლეთა სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში მიღებული ჯილდოები. სკოლაში არსებული სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი და სპორტული აქტივობებისათვის გამოყოფილი დიდი ზომის ოთახი იძლევა სპორტული შეჯიბრებების ჩატარების საშუალებას. სკოლის ეზოში საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, სკოლის ინიციატივით (ერთ-ერთი მასწავლებლის), აშენდა კეთილმოწყობილი გარე სპორტული მოედანი. მოედანი ემსახურება ცხუმარის ტერიტორიულ ერთეულში შემავალ 6 სოფელს. მოედანზე ხშირად იმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები, რაც დაადასტურა სკოლის სოციალურ ქსელებში განთავსებულმა ღონისძიებების ამსახველმა მასალებმა. გარე სპორტული მოედანი თემისთვის ფუნქციონირებს სკოლაში საგაკვეთილო პროცესის დამთავრების შემდეგ, რასაც აკონტროლებს სკოლის დარაჯი. სპორტული მოედანი კონტროლდება ასევე ვიდეოკმერით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლას გააჩნია გრიფირებული სახელმძღვანელოების ფონდი, აგრეთვე დამატებითი ლიტერატურა, რომელიც აუცილებელია კურიკულუმების განხორციელებისათვის. კურიკულუმების განხორციელებას ხელს უწყობს სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა. სპორტული დაბაზი და სპორტული მოდანი. სკოლაში არ არსებობს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, თუმცა აქვ მწირი რაოდნობით თვალსაჩინოებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ინვენტარიზაციის გეგმა;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (ბრძანება N49. 07.09.2023);

- საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში სკოლის სრული საპროექტო განაცხადის ფორმა;
- ციფრული განვითარბის გგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ადმინისტრაციული სარგებლობისათვის სკოლას აქვს კომპიუტერები და პრინტერი. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ ისტ-ის ოთახში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკით. სკოლას აქვს 3 პროექტორი, რომელიც ინტენსიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები ინტენსიურად იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიებსა და ონლაინ რესურსებს. სკოლა უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტით, გამართულად მუშაობს Wi-Fi სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს „სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი“, რომელშიც გაწერილია პასუხისმგებელი პირის მოვალეობები აწარმოოს რესურსების, მათზე მოთხოვნისა და გამოყენების აღრიცხვა. ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლას მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და მოსწავლეებისათვის შექმნილი აქვს საზიარო

სივრცეები. კერძოდ, მოსწავლეებისათვის - კომპუტერულ ლაბორატორიაში, მასწავლებლებისათვის - სამასწავლებლო და კომპიუტერული ლაბორატორია. განსაზღვრულია საზიარო სივრცეებით სარგებლობის დრო და ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი“ (ბრძანება N39. 06.09.2023);
- ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში საქმისწარმოება ხდება ელექტრონულად, შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების ინსტრუქციები“, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი დოკუმანტაციის ბრუნვის ორგანიზება. სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოება და სხვა. სკოლა ინფორმაციის გაცვლისთვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას სკოლის სკოლის ელფოსტაა Tschumari@mes.gov.ge, სადაც ხდება ინფორმაციის მიღება და შემოსულ წერილებზე პასუხის დაბრუნება. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, კერძოდ საქმისმწარმოებელი, რომლის უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის დირექტორის შემუშავებითა და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში: „სკოლის სტრუქტურა და ფუნქცია-მოვალეობები“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.სკოლაში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი, საქმისწარმოება ხდება ელექტრონულად eflow სისტემით. სასკოლო საზოგადოება კომუნიკაციისათვის ასევე იყენებს ელექტრონული ფოსტას და სოციალური ქსელებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლა სარგებლობს eschool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემით, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს სკოლის საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eschool-ის სისტემის მეშვეობით. ინფორმაციის და კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა სრულად, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N5 (04.08.2023)
- „სკოლის სტრუქტურა და ფუნქცია-მოვალეობები“;
- „საქმისწარმოების ინსტრუქციები“ (ბრძანება N31. 24.08.2023);
- მართვის საინფორმაციო სისტემა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დასკვნის პროექტში მითითებული იყო „სკოლას არ აქვს ოფიციალური ვებგვერდი“. საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის გამოიყენება სოციალური ქსელი და ამ ქსელის ჩატები, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია თავისი მოსაზრების დაფიქსირება

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლას ჰქონდა ვებგვერდი. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილდა

2. სკოლის სოციალურ ქსელებში სისტემატურად ხდება ინფორმაციის განახლება და განთავსება. განთავსებული ინფორმაცია და განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების (ფორმალური და არაფორმალური) ვიდეო-ფოტო მასალა უტყუარია და სანდო. მშობელთა თანხმობა მოსწავლის პერსონალური მონაცემების ან/და გამოსახულებების გამოქვეყნებაზე, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დადებულ ხელშეკრულებაშია გაწერილი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია)“. სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებში (სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, მისიისა და ხედვის შემუშავების მექანიზმი) არის გაწერილი, რომ მოსწავლის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უკუკავშირი გათვალისწინებული იქნება სკოლის საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. დასკვნის პროექტში მითითებული იყო „სკოლას არ აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას“.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლას ჰქონდა ვებგვერდი ქართულ ენაზე. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილდა

5. დასკვნის პროექტში მითითებული იყო „სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი. შესაბამისად არც ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია არ ვრცელდებოდა“. სკოლამ არგუმნტირებული პოზიციის წარმოდგნისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომლის მიხედვითაც 10.09.2023-15.09.2024 წწ. უზრუნველყოფს ვებგვერდზე სტანდარტის შესაბამისი ინფორმაციის სრულად განთავსებას. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და სკოლას მისცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნვლყოფის გეგმით გაწერილ ვადაში უზრუნვლყოს ვებგვერდის სრულყოფილი ფუნქციონირება, აღნიშნულის გათვალისწინებით კომპონენტის შეფასება არ შეესაბამება შეიცვალა შეფასებით მეტწილად შეესაბამება.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სოციალური ქსელი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულება;
- „მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობის დებულება(კომუნიკაციის სტრატეგია)“ (ბრძანება N43. 06.09.2023).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსებით, კერძოდ, სამოქმედო გეგმაში გაწერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების აქტივობების განსახორციელებლად სკოლას განსაზღვრული აქვს სკოლის კეთილმოწყობა, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება და განვითარება, სკოლის შენობაში მცირე სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ინვენტარისა და სხვა მასალების შეძენა, სკოლის ეზოს კეთილმოწყობა, წიგნადი ფონდის შევსება, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების მოძიება, მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის შეძენა; საპროგნოზო ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯები. ამ სავარაუდო ხარჯების შემდეგ, სკოლას წლის ბოლოს რჩება საკმაოდ სოლიდური ნაშთი საბანკო ანგარიშზე. უნდა ითქვას, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია სკოლის დანაზოგებით. დირექტორის ბრძანებით მტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლის წლიური ბიუჯეტის დამტკიცება ხდება ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად. წლიური ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება დირექტორის მიერ, წინა წლის ბიუჯეტიდან გამომდინარე. დასამტკიცებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს. დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან წელიწადში ორჯერ წარადგენს ფინანსურ ანგარიშს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამოქმედო გეგმა;
- საპროგნოზო ბიუჯეტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას ემსახურება სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლის ბაზაზე გასაჩივრების, მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის და მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები. სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის მოსწავლეები გაერთიანებულები არიან სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში: სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი და შესაბამისად მონაწილობენ სკოლის მმართველობითი საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. აქდან გამომდინარე დაცული და უზრუნველყოფილია მოსწავლეთა კანონით განსაზღვრული უფლებები. **ინდკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის კლასის დამრიგებლის ფუნქციაა. კლასის დამრიგებლები მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს. თავად ფაქტი, რომ შინაგანაწესს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო ადასტურებს მის გაზიარების ფაქტს სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებელი ხელშეკრულება მოიცავს სკოლის, მშობლის და მოსწავლის უფლება-მოვალეობებს და მოსწავლის პერსონალური ინფორმაციის დამუშავება/გამოყენების წესს. აღნიშნული ხელშეკრულების პუნქტები მკაფიო და გამჭვირვალეა

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გასაჩივრების წესი;
- შინაგანაწესი;
- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 6 სექტემბრის N44 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩრებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესით რეგულირდება როგორც მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვის საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, ასევე საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარების და მოსწავლის სასწავლო პროცესში და სკოლის მიღმა ბავშვის ფორმალრ განათლებაში ჩართვა. წარმოდგენილ დოკუმენტში თავმოყრილია შესაბამისი კანონმდებლობით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N04/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტსტუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნირების მინისტრის N98/ნ „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ და ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი) შესაბამისი მუხლები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილის შერჩევითი პრინციპით დათვალიერებისას დადგინდა, რომ სკოლა კანონმდებლობით და სკოლის შიდა დოკუმენტაციით დადგენილი პროცედურებით ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცედურებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. როგორც დამრიგებლების მოვალეობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით და სადამრიგებლო კრებების ოქმებით დადასტურდა, რომ დამრიგებლები მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის ნაწილებსა და სკოლის შინაგანაწესს, სადაც განსაზღვრულია სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები და მათი სპეციფიკა. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმა და შინაგანაწესი გამოკრული აქვს სკოლის ფოიეში.

ინდიკატორი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების შესახებ. განთავსებული ინფორმაცია გამჭვირვალეა და არ შეიცავს რაიმე ფორმის მადისკრიმინირებელ ინფორმაციას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩრებისა და შეწყვეტის წესი“ (ბრძანება N44, 6 სექტემბერი, 2023წ.) ;
- მართვის საინფორმაციო სიტემა;
- სკოლის სოციალური გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით „სსიპ სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლაში მოსწავლის ადაპტაციის წესი“ (ბრძანება N47, 06.09.2023 წ). დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეების, მობილობით გადმოსული მოსწავლეების, მხარდამჭერი ღონისძიებები

ჩამოყალიბებულია მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები და დეზადაპტაციის დროს განსახორციელებელი ქმედებები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2.სკოლის მიერ წარმოდენილი იქნა „სსიპ სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლაში მოსწავლის ადაპტაციის წესი“ (ბრძანება N47, 06.09.2023 წ). დოკუმენტის მიხედვით სკოლა გამოხატავს მზაობას რომ სწავლის დაწყების მომენტიდან იზრუნებს ხელი შეუწყოს მოსწავლეს სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. დამრიგებლები ახალ მოსწავლეებს გააცნობენ სასწავლო გარემოს, სასწავლო ცხრილს, სახელმძღვანელოებს, სკოლაში დამკვიდრებულ წესებს და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მოსწავლეს რომელსაც ესაჭიროება დახმარება, სკოლა უდგენს სპეციალურ ცხრილს სადაც შესაბამისი მასწავლებელი უწევს კონსულტირებას , უტარებენ დამატებით გაკვეთილებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4 სკოლის დირქციასთან გასაუბრებით, დამრიგებლების მიერ წარმოდგენილი კრებების ოქმების/ჩანაწერების საშუალებით დადგინდა, რომ სკოლა დამრიგებლების საშუალებით ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, სკოლის მიერ დადგენილ ნორმებს, სემესტრულ, საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდებზე მოსწავლეთა რეგისტრაციის წესსა და პირობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და სკოლის ხელშეწყობით სხვადასხვა ღონისძიება ხორციელდება. მაგ., ადმინისტრაციის მხარდაჭერით, სკოლაში განხორციელდა კვირეული, რომელზედაც მოსწავლეებმა სხვადასხვა ფორმით წარმოაჩინეს ბულინგის მახასიათებლები და მისი უარყოფითი შედეგები, სკოლაში მოქმედი ფეხბურთის წრე სპორტის მასწავლებლის ხელმძღვანელობით მონაწილეობს სპორტულ შეჯიბრებებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სკოლაში დამრიგებლების მხრიდან უშუალო კომუნიკაციით ხდება მოსწავლეების და დაინტერებული პირებისგან უკუკავშირის მიღება, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. სკოლის ციფრული განვითარების გეგმის მიხედვით იგეგმება ელექტრონული კითხვარების შემუშავება და დანერგვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სსიპ სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლაში მოსწავლის ადაპტაციის წესი“ (ბრძანება N47, 06.09.2023 წ)

- კრებების ოქმები;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- ციფრული განვითარების გეგმა.

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება, რაც გამოიხატება გასვლით გაკვეთილებში, სკოლაში შესაბამისი სტუმრების (სხვადასხვა პროფესიის ადამიანები) მოწვევა/შეხვედრების ორგანიზებაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობის მიზნით სკოლას განხორციელებული აქვს ექსკურსია კოლეჯში ,,თეთნულდი". მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლა გეგმავს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარებას (8 გაკვეთილი მე-9 კლასში). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2.დირექციასთან და დამრიგებლებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სკოლაში, ტრადიციულად, მოსწავლეებს მიეწოდებათ აქტუალური ინფორმაცია როგორც საბაზო, ასევე საშუალო საფეხურის დასრულების შემდგომ არსებული კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3.სკოლა, მოსწავლეებთან ზეპირი კომუნიკაციით, ახდენს გაწეული მომსახურების შეფასებას. ასევე ადგენს რა ინტერესები აქვთ მოსწავლეებს, რომ მიწოდებული ინფორმაცია კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის მიმართულებით იყოს მოსწავლეთა ინტერესებისა და მოთხოვნების რელევანტური. სკოლა გეგმავს ყოველწიურად შეაგროვოს მონაცემები კურსდამთავრებულთა პროფესიული არჩევანის შესახებ და ეს მონაცემები გამოიყენოს მომავალი საქმიანობის გაუმჯობესებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ექსკურსიის ამსახველი ფოტო მასალა;
- სადამრიგებლო საათის ჩანაწერები.

4.2.3.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის რეგულაციები (განმარტებულია ვინ შეიძლება იყოს სსსმ მოსწავლე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პრინციპი, ისგ ჯგუფის ფორმირების საკითხი, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება, გაცდენები, სსსმ მოსწავლის შინსწავლება და სკოლის ვალდებულებები იმისათვის, რომ სსსმ მოსწავლემ სკოლაში თავი დაცულად იგრძნოს). ვიზიტის პერიოდში სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავდა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

სკოლას მიეცა რჩევა სსსმ მოსწავლესთან მუშაობის რეგულაციებში გაითვალისიწინოს ასევე სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მონიტორინგის და მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანების შესაბამისად.

2. სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან გასაუბრებით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით სკოლა გამოხატავს მზაობას სსსმ მოსწავლის (არსებობის შემთხვევაში) წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერაში თანამშრომლობის პრინციპების დაცვით ჩართოს სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო სასწავლო გეგმა (შეთანხმებული სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 აგვისტოს N7 სხდომაზე და დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე)**

4.2.4.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს გამოცდილება უზრუნველყოს სპორტის წრის "მართვე" ფუნქციონირება. წრე ფუნქციონირებს სკოლის მოსწავლეებისათვის და მასში გაერთიანება ნებაყოფლობითია. სკოლის მოწავლეებს ემახურება ტრანსპორტი. ტრნსპორტით უზრუნველყოფას ახორციელებს მესტიის მუნიციპალიტეტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2 სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობი პრინციპით მოსწავლეებისათვის. სპორტული წრე ფუნქციონირებს წრის წესდების საფუძველზე. როგორც წრეში გაერთიანება ასევე მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობა ნებაყოფლობითია და ემსახურება მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. როგორც სკოლის სპორტული წრის, ასევე ტრანპორტით მომსახურება ნებაყოფლობითია და ხორციელდება მოწავლეთა საუკეთესო ინტერესებისა და უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმები დაცვით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სპორტული წრის წესდება და პროგრამა;
- ტრანსპორტით მომსახურების ცხრილი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლამ წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია(ბრძ.N46, 06/09/2023). კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში ურთიერთთანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს, მსჯელობენ მათთვის საინტერესო საკითხებზე და მიდიან კონსესუსამდე. შეხვედრებზე მასწავლებლებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა კლასებისა და მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილ მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენლის როლია გასაზღვრული კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კურიკულუმის შემუშავებაში კათედრის ყველა წევრია ჩართული. კათედრაზე მასწავლებლები თანხმდებიან ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თემების/საკითხების/ქვესაკითხების შერჩევა სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. სკოლა კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში ხელმძღვანელობს სკოლის საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით. კურიკულუმის დანერგვის პროცესში მეთოდოლოგიის მიხედვით მოხდება გამოწვევების იდენტიფიცირება და შესაბამისი ინტერვენციებს დაგეგმვა, რაც მომავალ კურიკულუმში უნდა ასახოს სკოლამ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3 სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმის შემუშავებაში სრულად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზის და შეფასების საფუძველზე. შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო

წლისათვის სასწავლო პროგრამების და მისი რეალიზებისათვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში კათედრის ყველა წევრი ერთვება და აზიარებს საკუთარ გამოცდილებასა და მიგნებებს შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისათვის. ასევე შეარჩევენ მექანიზმებს, რომლითაც შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას. კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა რომელიმე კათედრის წევრი რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას მის შემუშავებაში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.სკოლა გამოცდილების შესაბამისად გეგმავს მომავალი წლის კურიკულუმს. მომავლის გეგმებს უზიარებენ კოლეგებს, მშობლებს. გაზიარებისათვის იგეგმება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა საშუალებები. მაგალითად მშობლებთან კომუნიკაცია შესაძლებელია ელექტრონული ჟურნალით, სოციალური ქსელით და სხვა. სწორად დაგეგმილი კურიკულუმის შედეგია მოსწავლის სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობა, სწავლების რეალური ცხოვრებისეული კონტექსტი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება N46 , 06/09/2023;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო 2023-24 ს/წ.;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე კათედრების მიერ მომზადებული კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები. მათი დამუშავებისთვის დაწყებითი საფეხურის მე-5, მე-6 კლასებში კომპლექსური დავალებები და თემატური მატრიცები წარმოდგენილია ძველ სასკოლო კურიკულუმში. ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, რესურსების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს მრავალმხრივიუნარ-ჩვევების განვითარებისათვის. აქცენტი კეთდება ენობრივ, კვლევით, შემოქმედებით და მათემატიკურ უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე, სწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, მოსწავლეზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე, სწავლისადმი პოზიტიური დმოკიდებულების ჩამოყალიბებაზე. მნიშვნელოვანია, რომ დაწყებით საფეხურზე ასევე გათვალისწინებულია წინარე ცოდნა, ახალი ცოდნის აგებაში, მოსწავლეების ცოდნის კონსტრუირებაში დახმარება, მოსწავლის მოტივაციის შექმნა, სწავლისთვის ხელსაყრელი/პოზიტიური გარემოს შექმნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, მაგალითად, მე-6 კლასში მოსწავლეები ვაჟა-ფშაველას ,,მთის წყაროსა'' და კონტექსტმაგალითების მიხედვით ამზადებენ პოსტერებს, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. დაწყებით საფეხურზე საგნობრივი ჯგუფების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას მხოლოდ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება და ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ამ კუთხით ინფორმირებულნი არიან, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. შესაბამისად, **სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.**

4. სსიპ - მესტიის მუნიუციპალიტეტის ცხუმარის საჯარო სკოლამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე მუშაობა დაეგეგმათ. აღნიშნულ ეტაპზე განიხილეს შეფასების რუბრიკებიც, კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე იგეგმება განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული, შუალედური მიზნების საშუალებით - ყოველივე ეს ნათლად გამოიკვეთა ინტერვიუების დროს, გარდა ამისა, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ მრავალფეროვნი შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. დაწყებითი საფეხურის კათედრა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას, კერძოდ, კათედრის სხდომაზე აკეთებენ გამოვლენილი ხარვეზების ანალიზს, პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას (მასწავლებლებს აქვთ კურიკულუმის შექმნის გამოცდილება) და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით ადგენენ ახალ კურიკულუმს. წინა წლებში შექმნილმა სასწავლო გეგმებმა გაუადვილა მათ კურიკულუმის კომპონენტებში გარკვევა, თემატურ-სტრუქტურული ერთეულების გამოკვეთა, რასაც მასწავლებლებთან ინტერვიუც ამოწმებს, საგნობრივი კათედრის წევრები რეგულარულად თანამშრომლობენ, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ რეფლექსიას, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. მიღებული ინფორმაციისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის გადამუშავებადახვეწა და განვითარება. წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე დასტურდება სტანდარტებთან შესაბამისობა და სკოლა აკმაყოფილებს **ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის კათედრის ანგარიში;
- მატრიცები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პედაგოგები დიდ ყურადღებას აქცევენ თბილი პოზიტიური საკლასო გარემოს ორგანიზებას, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, რათა მოსწავლეებს გაუაქტიურდეთ წინარე გამოცდილება, აუმაღლდეთ შინაგანი მოტივაცია და სათანადოდ მომზადებული შეხვდნენ სასწავლო პროცესის თანმხლებ გამოწვევებს. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს მოსწონთ კეთებით სწავლა და თანამშრომლობა თანატოლებთან, რადგან უწყვეტად ურთიერთობენ ერთმანეთთან, იზიარებენ პასუხისმგებლობას, გასცემენ და იღებენ უკუკავშირს, რასაც გამოხატავენ თავისი სიტყვებით (აქ სახეზეა ღიაობა, გულწრფელობა და მაღალი მიმღებლობა, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში). ამის მტკიცებულებად კათედრის პედაგოგები იხსენებენ დაწყებითი საფეხურის ერთ-ერთ კლასში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებას მეორე უცხო ენაში, სადაც შეიქმნა პროდუქტი - წერილი უცხოელ მეგობარს გატაცებებზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში და პედაგოგებთან გასაუბრებიდან ჩანს, რამდენად მაღალია და წამყვან როლს ასრულებს პრობლემაზე ორიენტირებულობა და მოსწავლის ინიციატივების წახალისება სასკოლო ცხოვრებაში. პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ორიენტირებულნი არიან მათ განვითარებაზე. ამისათვის არჩევენ შესაბამის სასწავლო თემებს, მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებს და მეთოდებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.

2. საგნობივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. სკოლის მასწავლებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ წინარე ცოდნის გააქტიურებას სასწავლო პროცესში და ამის მიღწევას ცდილობენ მრავალფეროვანი ხერხებით. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები ითვალისწინებენ, რომ მოსწავლე უკეთ ითვისებს მასალას, რომელზეც უკვე აქვს გარკვეული წარმოდგენა და როცა ცოდნა იგება მარტივიდან რთულისაკენ. ძალიან ეფექტურია მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში სხვადასხვა დავალებები და განსაკუთრებით კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებისთვის შეთავაზებული აქტივობები, რაც იძლევა მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების განსაზღვრის შესაძლებლობას

წინარე ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიყვანოს მოსწავლე ახალ ცოდნამდე. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ მის ფარგლებში მოსწავლე აგებს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ცოდნას. კათედრას მწირი გამოცდილება აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების, მაგრამ პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას აქტიურად განახორციელონ გაწერილი კომპლექსური დავალებები მომავალ სასწავლო წელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. პედაგოგებს ესმით და გათავისებული აქვთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. ამ უნარებზე მუშაობა ყველა საფეხურზე შესაძლებელია, და მაშასადამე დაწყებით საფეხურზეც. სკოლას აქვს პრაქტიკა და პედაგოგები მაქსიმალურად ცდილობენ მხარი დაუჭირონ მოსწავლის რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე, განსაკუთრებით კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებისას. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კათედრა, სკოლა აქცენტს აკეთებს სწავლის პროცესზე. პრინციპი - სწავლის სწავლა გათვალისწინებულია კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების სახით. დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალების შესრულებისას პედაგოგები არჩევენ მიზნის შესაბამის აქტივობებს. კათედრის წევრებთან საუბრისას პედაგოგმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებს მეტად მოსწონთ თავიანთ ძლიერ მხარეებზე საუბარი, ვიდრე სუსტ მხარეებზე. თუმცა დავალების შესრულების შემდეგ ძუნწად, მაგრამ მაინც საუბრობენ, რატომ ფიქრობენ, რომ დავალება სწორადაა შესრულებული; რა გზა გაიარეს დავალების შესრულებისას; რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ. პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას, რომ მომავალში მათი მხრიდან ხელი შეეწყოს მოსწავლეებში თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების აქტიურად დანერგვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას როგორც სახელმძღვანელოდან, ასევე დამატებით სხვა წყაროებიდანაც. სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. შეუძლია ამ ცოდნის გადატანა და გამოყენება კონკრეტულ სიტუაციაში. ეს მეტყველებს, რომ სკოლა ორიენტირებულია სიღრმისეულ სწავლაზე, ანუ ცოდნის სამ კატეგორიაზე. სკოლაში ხორციელდება პროექტული აქტივობები, მოსწავლეებს უწევთ რესურსების მოძიება, დამუშავება, რაც თავისთავად სახალისო საქმიანობაა მათთვის. მტკიცებულებად პედაგოგები იხსენებენ ადგილობრივი სოფლების ტრადიციას. ტრადიციის თანახმად, ზამთარში სოფელში ტარდება ,,თოვლის კოშკის დანგრევა". მოსწავლეებმა ამ ტრადიციის შესახებ ინფორმაცია შეაგროვეს სოფლის უხუცესებისგან (მოსწავლეებმა დაამუშავეს კონკრეტული ფაქტობრივი მასალა, გაეცნენ ინფორმაციებს, ანუ დააგროვეს დეკლარატიული ცოდნა), დაამუშავეს მოძიებული ინფორმაცია, დაახარისხეს თემები, დასახეს გზები, როგორ წარმოეჩინათ შეგროვებული მასალა (მოსწავლებმა შეძლეს განესაზღვრათ მოქმედების ნაბიჯები და თანმიმდევრობა, განსაზღვრეს, რა მოქმედებები განეხორციელებინათ და როგორ. ეს ნიშნაცს, რომ ისინი ორიენტირებულნი არიან პროცედურულ ცოდნაზე) და სკოლაში წარმოადგინეს პრეზენტაციის სახით (მოსწავლეებმა მოახერხეს ცოდნის მოქმედებაში გადატანა, მისი გამოყენება კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში, ანუ გამოავლინეს პირობისეული ცოდნა). შედეგად, შეიქმნა პოსტერი ორივე საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობით. პედაგოგები სამომავლოდ გეგმავენ სწავლის პროცესი წარიმართოს ისე, რომ უფრო ეფექტურად მოხდეს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ტრანსფერი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ეს სწორედ პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებას ნიშნავს. ისინი წაახალისებენ მოსწავლეების ორიენტირებულობას პრობლემის გადაჭრაზე, კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მის თემატურ დაგეგმვას, ზრუნავენ სასწავლო პროცესმა უზრუნველყოს სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება მოსწავლეების მხრიდან. ამისათვის საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალებების განხორციელებაში სკოლას ამ ეტაპზე მწირი გამოცდილება აქვს, მაგრამ პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას და სამომავლოდ გეგმავენ ეტაპობრივად

გაზარდონ კომპლექსური დავალებების რაოდენობა და დახვეწონ მათი განხორციელების ხარისხი. კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს ერთი საგნის ფარგლებში ან სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ტრანსფერს - გამოყენებას. ამ მიზნით კათედრას ჩატარებული აქვს ინტეგრირებული გაკვეთილები. სახელმწიფო ენის კათედრასთან ერთად ორივე უცხოური ენის მონაწილეობით ინტეგრირებული პროექტის ფარგლებში შეიქმნა კედლის სამენოვანი გაზეთი ახალი წლის თემაზე. მოსწავლეებმა ასახეს ახალი წლის აღნიშვნის მსგავსება და განსხვავებები ქართულ, ინგლისურ და რუსულ კულტურაში. მიუხედავად ინტერნეტთან სუსტი წვდომისა მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ ინფორმაციის მოძიებაში, გაზეთის გაფორმებაში. მოსწავლეებმა ეფექტურად მოახერხეს ცოდნათა ორგანიზება სამივე ენაზე და მათი ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;
- სასწავლო პროექტი ,,თოვლის კოშკის დანგრევა“.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების შესწავლისა და მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გააზრებული და გათავისებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, მათ შორის ის, რომ დაწყებითი საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, უცხო ენა, საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ესთეტიკური

აღზრდა, ტექნოლოგიები, სიზიკური აღზრდა და სპორტი) შესწავლისას უნდა დაეუფლოს. საგნობრივი კურიკულუმების ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში მუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მეორე მხრივ, იგი ამოიცნობა მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მასწავლებელთა მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმებში, რომელთა საშუალებით რეალიზდება მოსწავლეების კრიტიკული აზროვნება, მრავალფეროვნება, კრეატიულობა. ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ სკოლის მიერ სწავლა-სწავლების პროცესი აღქმულია, როგორც კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის. მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა , რომ ისინი პროცესს იწყებენ წინარე ცოდნის გააქტიურებით, მოსწავლეებისათვის მასწავლებლის მიერ შეთავაზებული საკითხი და პრობლემა მათთვის უცხო არ არის, რაც მოსწავლეებს უზრდის მოტივაციას და საშუალებას აძლევს, რომ იფიქრონ წამოჭრილ პრობლემაზე, გამოწვევაზე, ჩაერთონ იმ აქტივობებში, რომლებსაც მათ მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ახალი მასალის შესწავლასთან ერთად ითვალისწინებს საკუთარ გამოცდილებას, მსჯელობს არგუმენტირებულად, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტიებით, მოძებნოს პრობლემის გადაჭრის გზა. ყველა ეს აქტივობა კი მოსწავლეებისაგან მოითხოვს მობილიზებასა და ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათ შეხვედრაზე მსჯელობისას უკეთ გააცნობიერეს აღნიშნული და ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში გარკვეულ ცვლილებებს შეიტანენ, ე.ი. გამოთქვეს მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი გააგრძელებენ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებებითა და აქტივობებით მოსწავლეების მხრიდან სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ ჭრილში. საკითხების შესწავლის პარალელურად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. ამისათვის სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ისეთი პედაგოგიური მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი თავის შეცნობაში, ინფორმაცია მათ მიეწოდება ასაკის და მზაობის შესაბამისად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: როლური თამაშები, სიმულაციები, საკომუნიკაციო ამოცანის შეცვლა და სხვა, საკლასო აქტივობებს ისინი გეგმავენ ისე, რომ გათვალისწინებული იყოს პიროვნული აღიარების აუცილებელი მოხოვნილება და ჯგუფური მუშაობის დროს თანამშრომლობითი უნარების დახვეწა. ამასთანავე მასწავლებლები შექებითა და წახალისებით პოზიტიურ განწყობას უქმნიან მოსწავლეებს სწავლისა და შემეცნების პროცესში; მასწავლებლები მოსწავლეებს აჩვენებენ დადებით მაგალითებს კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისას. აქცევენ ყურადღებას მოსწავლის განსხვავებული აზრებისა და მოვლენების მიმართ დამოკიდებულებას, ახალისებენ განსხვავების მიმართ შემწყნარებლობას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს გამოთქვეს მზაობა, რომ ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში

გააგრძელებენ სოციო-ემოციური სწავლების პროცესის განხორციელებას, რათა მოსწავლეებმა ყოველთვის შეძლონ ამოიცნონ საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, გააცნობიერონ სხვების პოზიცია და გამოხატონ ემპათია მათ მიმართ, გაუმკლავდნენ კონფლიქტურ და სტრესულ სიტუაციებს, შეეძლოთ პერსონალურსა თუ სოციალურ ქცევებს შორის კონსტრუქციული არჩევანის გაკეთება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, პედაგოგებს გათავისებული აქვთ, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, ისიც, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. სწორედ ამ მიზნით მასწავლებლებმა წარმოდგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები (V კლასი II სემესტრიდან და VI კლასი ფასდება როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფსებით). სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მიმართულია რა მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე – მაღალი სააზროვნო უნარების ჩამოყალიბებაზე (კრიტიკული აზროვნება; შემოქმედებითობა; კომუნიკაცია; თანამშრომლობა; მოქალაქეობა; ხასიათი/ნებელობა), ასევე ორიენტირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე – შესაბამისად მოსწავლეები აქტიურად ერთობიან საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ამ ეტაპზე წერილობითი განმავითარებელი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებაში არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები მასწავლებლებისაგან იღებენ როგორც მიმდინარე დავალებებში, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებში. შემაჯამებელ დავალებებზე კეთდება წერილობითი ანალიზი, რის შედეგაც დაგეგმილი ინტერვენციები ორიენტირებულია მოსწავლეთა განვთარების მხარდაჭერაზე. მასწავლებლებს არ აქვთ დიდი გამოცდილება მოსწავლეთა მიღწევების შედეგების ტაქსონომიის აქტიურ გამოყენებასა, თუმცა ისინი გეგმავენ განმავითარებელი შეფასება სწორედ მისი გამოყენებით განახორციელონ, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, დაადგინოს როგორ გაიაზრა მისმა მოსწავლემ თითოელი სამიზნე ცნება, რამდენად ახერხებს იგი შეძენილი ცოდნის გამოყენებას, შესაბამისად მისცეს განმავითარებელ კომენტარი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ჰოლისტური განვითარების პროცესში ამოსავალი წერტილი უნდა იყოს მოსწავლისაგან მიღებული მოლოდინები და შესაბამისად სასწავლო პროცესი ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს. პედაგოგებმა საგნობრივ ექსპერტებთან გასაუბრების დროს გამოთქვეს მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებებისას ყოველთვის გაითვალისწინებენ არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ უნარებს, არამედ სოციალურ და ოჯახურ მდგომარეობას. ასევე ისინი გააგრძელებენ მუშაობას სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნაზე. ამგვარი პოზიცია მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდამჭერი შეფასება განახორციელოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. დაწყებით საფეხურზე შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების(V-VIკლ.) სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. მისი მთავარი ფუნქცია ობიექტურობის დაცვაა, რაც ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის სანდო და ვალიდური. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა მოსწავლეთა შეფასებებს ახდენს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალების, ექსპერიმენტების ჩატარებზე. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ

სხვა) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. **ს**აზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრ**ა** მოსწავლეთა შეფასებებს ახდენს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალების (ტესტის) და სასწავლო პროექტის მიხედვით. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, სადაც აქცენტები გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. ასევე მშობლის ბარათები, სადაც შეფასების რუბრიკებიცაა ჩაშენებული. სპორტის პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კათედრა გეგმავს შეფასების რუბრიკების დახვეწას. მასწავლებლის გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე თემების მიხედვით შემუშავებული შეფასების რუბრიკები გათვლილი იქნება მოსწავლეთა ცოდნის დონეზე და გაზიარებული მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების სისტება არის და იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. დასკვნის პროექტში მითითებული იყო „ცხუმარის სკოლის მიერ წარმოდგენილია ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტით ვერიფიკაცია განსაზღვრულია როგორც შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც გამოიყენება შეფასების ინტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების შეფასების სისტემის მიმართ დადგენილ მოთხოვნებთან უზრუნველსაყოფად. თუმცა დოკუმენტში შემდეგ აღარ იკითხება, თუ როგორ, რა გზებით მოახერხებს სკოლა შეფასების ინტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას“.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნვლყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც ვერიფიკაციის დოკუმენტის შემუშავების ვადად განსაზღვრა 23.10.2023-15.11.2023 წწ პერიოდი. შესაბამისობის გეგმაში მიუთითა შემუშავების პროცესი დასრულებულად, თუმცა დოკუმენტი არ წარმოუდგენია. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ვერიფიკაციის დოკუმენტზე სამუშაო ვადა სკოლას ჯერ კიდევ ჰქონდა. გამომდინარე იქიდან, რომ დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ვერიფიკაციის დოკუმენტის შემუშავება უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. აღნიშნულის გათვალისწინებით კომპონენტის შეფასება შეუსაბამოა შეიცვალა შეფასებით მეტწილად შესაბამისია.

6. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. დირექტორის სამართლებრივ - ადმინისტრაციული ბრძანებით განსაზღვრული აქვს ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. კათედრის მიერ მოსწავლეთა მიერ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით, თუმცა ეს პროცესი უფრო სპონტანურია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მარეგულირებელი აქტი/წესი/მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხა და შენახვა მინიმუმ 3 წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ასკოლო კურიკულუმი;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები;
- ვერიფიკაციის დოკუმენტი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწვლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა, მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. შესაბამისად სკოლა ზრუნავს უზრუნველყოს მოსწავლეებისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემო. ითვალისწინებს მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სსხვადასხვა აქტივობებს, კვირეულებს, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობისა და დადებითი განწყობის უზრუნველსაყოფად. კომპლექსური დავალებების პირობების შედგენისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.სკოლა აცნობიერებს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვის მნიშვნელობას. ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა მასწავლებლები ცდილობენ გამოიკვლიონ მოსწავლეთა საჭიროებები და პრობლემები, გაანალიზონ მოსწავლეთა სასწავლო შედეგები და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. ახალი ცოდნის აგება დააფუძნონ უკვე ნასწავლს, საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეთათვის ნაცნობი შინაარსის მატარებელი გახადონ. სკოლა გეგმავს და ახორციელებს ისეთ ღონისძიებებსა და სასწავლო პროექტებს, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას უზრუნველყოფს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესის დაგეეგმვაში, როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს, კათედრა აქტიურად თანამშრომლობს. სასწავლო პროცესში გამოვლენილი გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად, როგორც წესი, ასევე მასწავლებელთა გუნდი მუშაობს. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს პროცესებს. განსხვავებულად აფასებენ და მათი გადაჭრის განსხვავებულ გზას წარმოაჩენენ და შემდეგ ერთობლივი დისკუსიითა და განხილვებით ღებულობენ გადაწყვეტილებას. თანამშრორმლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად

მოსწავლეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად რაც ადასტურებს სკოლაში არსებულ თანამშრომლობით კულტურას და ჯანსაღ კომუნიკაციას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში იმართება ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებები კვირეულების სახით, წახალისებულია თანატოლების თანამშრომლობა პროექტის ფარგლებში, იგეგმბა და ხორციელდება მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები, კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- სასკოლო კვირეულისა და აქტივობების გეგმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას. მონიტორინგის მექანიზმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ. 2023-2024 სასწავლო

წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. ასევე იგეგმება კათედრებზე, მონიტორინგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, შემდეგ - სკოლის დონეზე, საჭიროებიდან გამომდინარე- მშობლისა და მოსწავლის დონეზე. ინ**დიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სწავლის პროცესის მონიტორინგი ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მონაცემების დამუშავება ხდება კათედრის სხდომებზე. პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება გადანაწილებულია თითოეულ მასწავლებელზე. კათედრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. მათ გათვითცნობიერებული აქვთ რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ თანამშრომლობენ კლასის დამრგიგებლებთან. ამის დასტურია ,,დამრიგებლის საათი''. ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია**

3. მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ თვლიან, რომ მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურებოდეს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და ხარისხის ჯგუფის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმ შემუშავების მეთოდოლოგია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდებით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ. სასწავლო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა სტრატეგიები, როგორიც არის კითხვა პასუხი, ტესტური დავალება და შემდგომ მისი ანალიზი, ზედაპირული დაკვირვება კოლეგა მასწავლებლის მხრიდან მიწოდებული უკუკავშირი, რაც ერთობლიობაში ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ვთქვათ სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. შეფასების უფრო მოსწავლეზე ორიენტირებულად წარსამართავად სკოლაში ხშირად იმართება კათედრის წევრებს შორის აქტიური საუბრები, სადაც იხილება ის ფაქტობრივი კონტექსტი, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის დამოკიდებულებებზე და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობაზე. სკოლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად, გააკეთებს ანალიზს და მოახდენს ისეთი ფორმით დასკვნის წარმოდგენას, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლა სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების ეფექტურობისათვის მონაცემთა შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, ესენია შემაჯამებელი სამუშაო სადაც ხდება დაგეგმვა შემაჯამებლების რაოდენობის, შემდგომ ანალიზი, ძლიერი და სუსტი მხარეების, გამოიყენება ასევე გაკვეთილზე დაკვირვება კოლეგის უკუკავშირი რაც მოიცავს განმავითარებელი გაცემულ კომენტარზე რჩევების გაცემას. აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს მცდელობა, დანერგოს სადიაგნოსტიკო შეფასება და მოახდინოს მოსწავლეთა მიღწევის დონის აღწერა, კომპლექსური დავალების შეფასება და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. მასწავლებლები თანხმდებიან, რომ მოსწავლის შეფასებაზე მხოლოდ სასწავლო სივრცე არ ახდენს გავლენას და რომ მნიშვნელოვანია ოჯახი, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით შექმნილი შეფასების რუბრიკები არის მოქნილი და მოსწავლის შესაძლებლობებზე მაქსიმალურად მორგებული. სკოლა ითვალისწინებს, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. ყველაზე გამოსაკვეთი არის ამ სივრციდან მოსწავლის აკადემიური და გლობალურ ფუნქციური უნარები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც პედაგოგებთან გასაუბრებიდან და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა კურიკულუმი გადაფასდება საგნობრივ კათედრებზე, საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი; კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ თემატურ გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გადამუშავების საფუძველზე ცდილობენ შექმნან საუკეთესო მოდელები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს კურიკულუმების განხილვა მომავალშიც გაგრძელდება კათედრაზე და გაითვალისწინებენ როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
საგნობრივი კურიკულუმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლამ წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია(ბრძ.N46, 06/09/2023). კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში ურთიერთთანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს, მსჯელობენ მათთვის საინტერესო საკითხებზე და მიდიან კონსესუსამდე. შეხვედრებზე მასწავლებლებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა კლასებისა და მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება.

შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან

2 წარმოდგენილ მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენლის როლია გასაზღვრული კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კურიკულუმის შემუშავებაში კათედრის ყველა წევრია ჩართული. კათედრაზე მასწავლებლები თანხმდებიან ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თემების/საკითხების/ქვესაკითხების შერჩევა სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. სკოლა კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში ხელმძღვანელობს სკოლის საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით. კურიკულუმის დანერგვის პროცესში მეთოდოლოგიის მიხედვით მოხდება გამოწვევების იდენტიფიცირება და შესაბამისი ინტერვენციებს დაგეგმვა, რაც მომავალ კურიკულუმში უნდა ასახოს სკოლამ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3 კურიკულუმის შემუშავებაში სრულად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება.სასკოლო კურიკულუმის შემუშავება იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; მისი(ე.ი. წინა წლის კურიკულუმის)განხორციელების პროცესის ანალიზის და შეფასების საფუძველზე. შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლისათვის სასწავლო პროგრამების და მისი რეალიზებისათვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. შემუშავებაში კათედრის ყველა წევრი ერთვება და თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: შეარჩევენ თემებს/საკითხებს/ქვესაკითხებს სტანდარტით განსაზრვრული შედეგების მისაღწევად; შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისათვის. ასევე შეარჩევენ მექანიზმებს, რომლითაც შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას. კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა რომელიმე კათედრის წევრი . სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმის შემუშავებაში სრულად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზის და შეფასების საფუძველზე. შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლისათვის სასწავლო პროგრამების და მისი რეალიზებისათვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში კათედრის ყველა წევრი ერთვება და აზიარებს საკუთარ გამოცდილებასა და მიგნებებს შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისათვის. ასევე შეარჩევენ მექანიზმებს, რომლითაც შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას. კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა რომელიმე კათედრის წევრი რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას მის შემუშავებაში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. სკოლა გამოცდილების შესაბამისად გეგმავს მომავალი წლის კურიკულუმს. მომავლის გეგმებს უზიარებენ კოლეგებს, მშობლებს. გაზიარებისათვის იგეგმება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა საშუალებები. მაგალითად მშობლებთან კომუნიკაცია შესაძლებელია ელექტრონული ჟურნალით, სოციალური ქსელით და სხვა. სწორად დაგეგმილი კურიკულუმის შედეგია მოსწავლის სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობა, სწავლების რეალური ცხოვრებისეული კონტექსტი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება N46 , 06/09/2023;
- კურიკულუმის ჩარჩო 2022-23 ს/წ.;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ მომზადებული კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფების მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, რესურსების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს მრავალმხრივი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. აქცენტი კეთდება ენობრივ, კვლევით, შემოქმედებით და მათემატიკურ უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ლოგიკურ აზროვნებაზე სწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, მოსწავლეზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე, სწავლისადმი პოზიტიური დმოკიდებულების ჩამოყალიბებაზე. მნიშვნელოვანია, რომ საბაზო საფეხურზე ასევე გათვალისწინებულია წინარე ცოდნა, ახალი ცოდნის აგებაში, მოსწავლეების ცოდნის კონსტრუირებაში დახმარება, მოსწავლის მოტივაციის შექმნა, სწავლისთვის ხელსაყრელი/პოზიტიური გარემოს ფორმირების ხელშეწყობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საბაზო საფეხურის ყველა კლასის დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, მაგალითად , მე-9 კლასში ქართული ენაში მიხეილ ჯავახიშვილის ,,პაპა დიმოს მიხედვით'' მოამზადეს საჯარო გამოსვლა. გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები სხვადასხვა საგნებში, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. საბაზო საფეხურზე საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას მხოლოდ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება და ინტერვიუების დროს გამოიკვეთა,რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლები ამ კუთხით ინფორმირებულნი არიან, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.**

4. სსიპ - მესტიის მუნიუციპალიტეტის ცხუმარის საჯარო სკოლამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე მუშაობა დაეგეგმათ. აღნიშნულ ეტაპზე განიხილეს შეფასების რუბრიკებიც, კათედრების მიერ საბაზო საფეხურზე იგეგმება განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული, შუალედური მიზნების საშუალებით - ყოველივე ეს ნათლად გამოიკვეთა ინტერვიუების დროს, გარდა ამისა, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ მრავალფეროვნი შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. საბაზო საფეხურზე კათედრები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, კათედრის სხდომაზე აკეთებენ გამოვლენილი ხარვეზების ანალიზს, პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, რომელთა საფუძველზეც ადგენენ ახალ კურიკულუმს. წინა წლებში შექმნილმა სასწავლო გეგმებმა გაუადვილა მათ კურიკულუმის კომპონენტებში გარკვევა, თემატურ-სტრუქტურული ერთეულების გამოკვეთა, რასაც მასწავლებლებთან ინტერვიუც ამოწმებს, საგნობრივი კათედრის წევრები რეგულარულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ რეფლექსიას, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. მიღებული ინფორმაციისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის გადამუშავება, დახვეწა და განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო -სასწავლო გეგმა;
- კათედრის ანგარიშები;

- მატრიცები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პედაგოგები დიდ ყურადღებას აქცევენ პოზიტიური საკლასო გარემოს ორგანიზებას საბაზო საფეხურზე, რათა მოსწავლეებს გაუაქტიურდეთ წინარე გამოცდილება, აუმაღლდეთ შინაგანი მოტივაცია და სათანადოდ მომზადებული შეხვდნენ სასწავლო პროცესის გამოწვევებს. საბაზო საფეხურზე მნიშვნელოვანია მოსწავლეების ურთიერთთანამშრომლობა თანატოლებთან, პასუხისმგებლობის გაზიარება, უკუკავშირის გაცემა და მიღება, რასაც გამოხატავენ გულწრფელად (აქ სახეზეა მაღალი მიმღებლობა, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში). საბაზო საფეხურის ყველა კლასში საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები, რისი მწირი გამოცდილება აქვს სკოლას ამ ეტაპზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში და კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან ჩანს, პედაგოგებს ესმით, რომ წამყვან როლს ასრულებს პრობლემაზე ორიენტირებულობა და მოსწავლის ინიციატივების წახალისება სასკოლო ცხოვრებაში. პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ორიენტირებულნი არიან მათ განვითარებაზე. ამისათვის არჩევენ შესაბამის სასწავლო თემებს, მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, თვალსაჩინოებებს, აქტივობებს და მეთოდებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. საგნობივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. სკოლის მასწავლებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ წინარე ცოდნის გააქტიურებას სასწავლო პროცესში და ამის მიღწევას ცდილობენ მრავალფეროვანი ხერხებით. საბაზო საფეხურის პედაგოგები ითვალისწინებენ, რომ მოსწავლე უკეთ ითვისებს მასალას, რომელზეც უკვე აქვს გარკვეული წარმოდგენა და როცა ცოდნა იგება მარტივიდან რთულისაკენ. ძალიან ეფექტურია მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში სხვადასხვა დავალებები და განსაკუთრებით კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებისთვის შეთავაზებული აქტივობები, რაც იძლევა მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების განსაზღვრის შესაძლებლობას წინარე ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიყვანოს მოსწავლე ახალ ცოდნამდე. სასწავლო პროცესში კათედრებზე უპირატესობას ანიჭებენ ხარაჩოს პრინციპს, კეთებით სწავლებას. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ მის ფარგლებში მოსწავლე აგებს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ცოდნას. კათედრას მწირი გამოცდილება აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების, მაგრამ პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას აქტიურად განახორციელონ გაწერილი კომპლექსური დავალებები მომავალ სასწავლო წელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პედაგოგებს ესმით და გათავისებული აქვთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. სკოლას აქვს პრაქტიკა და პედაგოგები მაქსიმალურად ცდილობენ მხარი დაუჭირონ მოსწავლის რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე, განსაკუთრებით კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებისას. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კათედრები აქცენტს აკეთებს სწავლის პროცესზე. პრინციპი - სწავლის სწავლა გათვალისწინებულია კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების სახით. საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალების შესრულებისას პედაგოგები არჩევენ მიზნის შესაბამის აქტივობებს. პედაგოგებთან საუბრისას ერთ-ერთმა პედაგოგმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებს მეტად მოსწონთ თავიანთ ძლიერ მხარეებზე საუბარი, ვიდრე სუსტ მხარეებზე. თუმცა საბაზო საფეხურზე უფრო გაბედულად საუბრობენ, რა გზა გაიარეს დავალების შესრულებისას: რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ. პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას, რომ მომავალში მათი მხრიდან ხელი შეეწყოს მოსწავლეებში თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების აქტიურად დანერგვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას როგორც სახელმძღვანელოდან, ასევე დამატებით სხვა წყაროებიდანაც. სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. შეუძლია ზუსტად განსაზღვროს მოქმედების ნაბიჯები და თანმიმდევრობა. მაგალითად, ტექსტის დამუშავებისას, ამოცანის გადაჭრისას, ეპოქის დახასიათებისას, იცის რა მოქმედებები განახორციელოს, როგორ წაიკითხოს, რა შეკითვები დასვას, რა წყაროებ დაეყრდნოს, სად და როგორ მოძებნოს ახალი სიტყვები და ა.შ. ასევე, დამუშავებულ მასალაზე დაყრდნობით და მასწავლებლის დახმარებით, შეუძლია ამ ცოდნის გადატანა და გამოყენება კონკრეტულ სიტუაციაში. სკოლაში ხორციელდება პროექტული დავალებები და აქტივობები. მოსწავლეებს უწევთ, რესურსების მოძიება, დამუშავება, რაც თავისთავად სახალისო საქმიანობაა მათთვის. მტკიცებულებად პედაგოგები იხსენებენ ადგილობრივ ტრადიციას. ტრადიციის თანახმად, ზამთარში სოფელში ტარდება ,,თოვლის კოშკის დანგრევა". მოსწავლეებმა ამ ტრადიციის შესახებ ინფორმაცია შეაგროვეს სოფლის უხუცესებისგან (მოსწავლეებმა დაამუშავეს კონკრეტული ფაქტობრივი მასალა, გაეცნენ ინფორმაციას, ანუ დააგროვეს დეკლარატიული ცოდნა), დაამუშავეს მოძიებული ინფორმაცია, დაახარისხეს თემები, დასახეს გზები, როგორ წარმოეჩინათ შეგროვებული მასალა (მოსწავლეებმა შეძლეს განესაზღვრათ მოქმედების ნაბიჯები და თანმიმდევრობა, განსაზღვრეს, რა მოქმედებები განეხორციელებინათ და როგორ. ეს ნიშნავს, რომ ისინი ორიენტირებულნი არიან პროცედურულ ცოდნაზე) და სკოლაში წარმოადგინეს პრეზენტაციის სახით (მოსწავლეებმა მოახერხეს ცოდნის მოქმედებაში გადატანა, მისი გამოყენება კონკრეტულ პირობასა და

მოცემულობაში, ანუ გამოავლინეს პირობისეული ცოდნა). შედეგად, შეიქმნა პოსტერი სამივე საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ეს სწორედ პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებას ნიშნავს. ისინი წაახალისებენ მოსწავლეების ორიენტირებულობას პრობლემის გადაჭრაზე, კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მის თემატურ დაგეგმვას, მცირე გამოცდილების მიუხედავად, ზრუნავენ სასწავლო პროცესმა უზრუნველყოს სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება მოსწავლეების მხრიდან. ამისათვის საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალებების განხორციელებაში სკოლას ამ ეტაპზე მწირი გამოცდილება აქვს, მაგრამ პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას და სამომავლოდ გეგმავენ ეტაპობრივად გაზარდონ კომპლექსური დავალებების რაოდენობა და დახვეწონ მათი განხორციელების ხარისხი. კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს ერთი საგნის ფარგლებში ან სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ტრანსფერს - გამოყენებას. ამ მიზნით კათედრა სამომავლოდ გეგმავს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- სასწავლო პროექტი.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების შესწავლისა და მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გააზრებული და გათავისებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, მათ შორის ის, რომ საბაზო საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, უცხო ენა, საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ესთეტიკური აღზრდა,

ფიზიკური აღზრდა და სპორტი) შესწავლისას უნდა დაეუფლოს. საგნობრივი კურიკულუმების ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში მუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მეორე მხრივ, იგი ამოიცნობა მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მასწავლებელთა მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმებში, რომელთა საშუალებით რეალიზდება მოსწავლეების კრიტიკული აზროვნება, მრავალფეროვნება, კრეატიულობა. ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ სკოლის მიერ სწავლა-სწავლების პროცესი აღქმულია, როგორც კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის. მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი პროცესს იწყებენ წინარე ცოდნის გააქტიურებით, მოსწავლეებისათვის მასწავლებლის მიერ შეთავაზებული საკითხი და პრობლემა უცხო არ არის, რაც მოსწავლეებს უზრდის მოტივაციას და საშუალებას აძლევს, რომ იფიქრონ წამოჭრილ პრობლემაზე, გამოწვევაზე, ჩაერთონ იმ აქტივობებში, რომლებსაც მათ მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ახალი მასალის შესწავლასთან ერთად ითვალისწინებს საკუთარ გამოცდილებას, მსჯელობს არგუმენტირებულად, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტებით, მოძებნოს პრობლემის გადაჭრის გზა. ყველა ეს აქტივობა კი მოსწავლეებისაგან მოითხოვს მობილიზებასა და ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათ შეხვედრაზე მსჯელობისას უკეთ გააცნობიერეს აღნიშნული და ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში გარკვეულ ცვლილებებს შეიტანენ, ე.ი. გამოთქვეს მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი გააგრძელებენ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებებითა და აქტივობებით მოსწავლეების მხრიდან სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ ჭრილში. საკითხების შესწავლის პარალელურად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. ამისათვის სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ისეთი პედაგოგიური მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი თავის შეცნობაში, ინფორმაცია მათ მიეწოდება ასაკის და მზაობის შესაბამისად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: როლური თამაშები, სიმულაციები, გონებრივი იერიში, კოგნიტურ სქემებზე მუშაობა და სხვა, საკლასო აქტივობებს ისინი გეგმავენ ისე, რომ გათვალისწინებული იყოს პიროვნული აღიარების აუცილებელი მოხოვნილება და ჯგუფური მუშაობის დროს თანამშრომლობითი უნარების დახვეწა. ამასთანავე მასწავლებლები შექებითა და წახალისებით პოზიტიურ განწყობას უქმნიან მოსწავლეებს სწავლისა და შემეცნების პროცესში; მასწავლებლები მოსწავლეებს აჩვენებენ დადებით მაგალითებს კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისას. აქცევენ ყურადღებას მოსწავლის განსხვავებული აზრებისა და მოვლენების მიმართ დამოკიდებულებას, ახალისებენ განსხვავების მიმართ შემწყნარებლობას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს გამოთქვეს მზაობა, რომ ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში გააგრძელებენ სოციო-ემოციური სწავლების პროცესის განხორციელებას, რათა მოსწავლეებმა ყოველთვის შეძლონ ამოიცნონ საკუთარი

ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, გააცნობიერონ სხვების პოზიცია და გამოხატონ ემპათია მათ მიმართ, გაუმკლავდნენ კონფლიქტურ და სტრესულ სიტუაციებს, შეეძლოთ პერსონალურსა თუ სოციალურ ქცევებს შორის კონსტრუქციული არჩევანის გაკეთება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, პედაგოგებს გათავისებული აქვთ, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, ისიც, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. სწორედ ამ მიზნით მასწავლებლებმა წარმოდგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მიმართულია რა მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე – მაღალი სააზროვნო უნარების ჩამოყალიბებაზე (კრიტიკული აზროვნება; შემოქმედებითობა; კომუნიკაცია; თანამშრომლობა; მოქალაქეობა; ხასიათი/ნებელობა), ასევე ორიენტირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე – შესაბამისად მოსწავლეები აქტიურად ერთობიან საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ამ ეტაპზე წერილობითი განმავითარებელი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებაში არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები მასწავლებლებისაგან იღებენ როგორც მიმდინარე დავალებებში, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებში. შემაჯამებელ დავალებებზე კეთდება წერილობითი ანალიზი, რის შედეგაც დაგეგმილი ინტერვენციები ორიენტირებულია მოსწავლეთა განვთარების მხარდაჭერაზე. მასწავლებლებს არ აქვთ დიდი გამოცდილება მოსწავლეთა მიღწევების შედეგების ტაქსონომიის აქტიურ გამოყენებასა, თუმცა ისინი გეგმავენ განმავითარებელი შეფასება სწორედ მისი გამოყენებით განახორციელონ, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, დაადგინოს როგორ გაიაზრა მისმა მოსწავლემ თითოელი სამიზნე ცნება, რამდენად ახერხებს იგი შეძენილი ცოდნის გამოყენებას, შესაბამისად მისცეს განმავითარებელ კომენტარი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ჰოლისტური განვითარების პროცესში ამოსავალი წერტილი უნდა იყოს მოსწავლისაგან მიღებული მოლოდინები და შესაბამისად სასწავლო პროცესი ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს. პედაგოგებმა საგნობრივ ექსპერტებთან გასაუბრების დროს გამოთქვეს მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებებისას ყოველთვის გაითვალისწინებენ არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ უნარებს, არამედ სოციალურ და ოჯახურ მდგომარეობას. ასევე ისინი გააგრძელებენ მუშაობას სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნაზე. პედაგოგთა ამგვარი პოზიცია მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდამჭერი შეფასება განახორციელოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ასევე მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. საბაზო საფეხურზე მასწავლებლები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლეებს აფასებენ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით, რომელშიც განსაზღვრულია შეფასების მიზანი, ე.ი. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით, ასევე კრიტერიუმები, რომლებიც ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენს რეფლექსიას მათი სწავლის პროცესზე. აღნიშნულ რუბრიკებს შეიმუშავებენ მასწავლებლები, განიხილავენ და თანხმდებიან საგნობრივი კათედრების სხდომებზე, ხოლო პედაგოგიური საბჭო მათ ამტკიცებს. ასევე,

სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს სასწავლო პროცესში გამოყენებული თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეებისა და მშობლებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების სისტემა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს გამოთქვეს მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი ახალ სასწავლო წელსაც გააგრძელებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე მუშაობას, კერძოდ შექმნიან სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორებზე დაყრდნობით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, ხოლო განმავითარებელ შეფასებებს მოსწავლეებს მისცემენ საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად ცნების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით შექმნილი რუბრიკების გამოყენებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. დასკვნის პროექტში მითითებული იყო „ცხუმარის სკოლის მიერ წარმოდგენილია ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტით ვერიფიკაცია განსაზღვრულია როგორც შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც გამოიყენება შეფასების ინტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების შეფასების სისტემის მიმართ დადგენილ მოთხოვნებთან უზრუნველსაყოფად. თუმცა დოკუმენტში შემდეგ აღარ იკითხება, თუ როგორ, რა გზებით მოახერხებს სკოლა შეფასების ინტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც ვერიფიკაციის დოკუმენტის შემუშავების ვადად განსაზღვრა 23.10.2023-15.11.2023 წწ პერიოდი. შესაბამისობის გეგმაში მიუთითა შემუშავების პროცესი დასრულებულად, თუმცა დოკუმენტი არ წარმოუდგენია. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ვერიფიკაციის დოკუმენტზე სამუშაო ვადა სკოლას ჯერ კიდევ ჰქონდა. გამომდინარე იქიდან, რომ დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ვერიფიკაციის დოკუმენტის შემუშავება უზრუნვლყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

6 . სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. დირექტორის სამართლებრივ - ადმინისტრაციული ბრძანებით განსაზღვრული აქვს ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. კათედრის მიერ მოსწავლეთა მიერ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით, თუმცა ეს პროცესი უფრო სპონტანურია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მარეგულირებელი აქტი/წესი/მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხა და შენახვა მინიმუმ 3 წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ასკოლო კურიკულუმი;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები;
- ვერიფიკაციის დოკუმენტი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწვლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა, მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. შესაბამისად სკოლა ზრუნავს უზრუნველყოს მოსწავლეებისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემო. ითვალისწინებს მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სსხვადასხვა აქტივობებს, კვირეულებს, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობისა და დადებითი განწყობის უზრუნველსაყოფად. კომპლექსური დავალებების პირობების შედგენისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.სკოლა აცნობიერებს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვის მნიშვნელობას. ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა მასწავლებლები ცდილობენ გამოიკვლიონ მოსწავლეთა საჭიროებები და პრობლემები, გაანალიზონ მოსწავლეთა სასწავლო შედეგები და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. ახალი ცოდნის აგება დააფუძნონ უკვე ნასწავლს, საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეთათვის ნაცნობი შინაარსის მატარებელი გახადონ. სკოლა გეგმავს და ახორციელებს ისეთ ღონისძიებებსა და სასწავლო პროექტებს, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას უზრუნველყოფს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესის დაგეეგმვაში, როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს, კათედრა აქტიურად თანამშრომლობს. სასწავლო პროცესში გამოვლენილი გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად, როგორც წესი, ასევე მასწავლებელთა გუნდი მუშაობს. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს პროცესებს. განსხვავებულად აფასებენ და მათი გადაჭრის განსხვავებულ გზას წარმოაჩენენ და შემდეგ ერთობლივი დისკუსიითა და განხილვებით ღებულობენ გადაწყვეტილებას. თანამშრორმლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად

მოსწავლეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად რაც ადასტურებს სკოლაში არსებულ თანამშრომლობით კულტურას და ჯანსაღ კომუნიკაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში იმართება ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებები კვირეულების სახით, წახალისებულია თანატოლების თანამშრომლობა პროექტის ფარგლებში, იგეგმება და ხორციელდება მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები, კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და მისი შესაბამისი აღჭურვილობა, რაც ხელს უშლის კურიკულუმის განხორციელებას საბაზო საფეხურზე.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- სასკოლო კვირეულისა და აქტივობების გეგმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას.მონიტორინგის მექანიზმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ. 2023-2024 სასწავლო

წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. ასევე იგეგმება კათედრებზე, მონიტორნიგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, შემდეგ - სკოლის დონეზე, საჭიროებიდან გამომდინარე- მშობლისა და მოსწავლის დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სწავლის პროცესის მონიტორინგი ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მონაცემების დამუშავება ხდება კათედრის სხდომებზე. პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება გადანაწილებულია თითოეულ მასწავლებელზე. კათედრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. მათ გათვითცნობიერებული აქვთ რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ თანამშრომლობენ კლასის დამრგიგებლებთან. ამის დასტურია ,,დამრიგებლის საათი''. ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია**

3.მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი თვლიან, რომ მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურებოდეს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- აგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის მეთოდოლოგია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდებით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ. სასწავლო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა სტრატეგიები, როგორიც არის კითხვა პასუხი, ტესტური დავალება და შემდგომ მისი ანალიზი, ზედაპირული დაკვირვება კოლეგა მასწავლებლის მხრიდან მიწოდებული უკუკავშირი, რაც ერთობლიობაში ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ვთქვათ სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. შეფასების უფრო მოსწავლეზე ორიენტირებულად წარსამართავად სკოლაში ხშირად იმართება კათედრის წევრებს შორის აქტიური საუბრები, სადა იხილება ის ფაქტობრივი კონტექსტი, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის დამოკიდებულებებზე და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობაზე ამისათვის კომპლექსური დავალება გულისხმობს მოსწავლეების მზაობის, უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებას, სკოლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად, გააკეთებს ანალიზს და მოახდენს ისეთი ფორმით დასკვნის წარმოდგენას, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლა სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების ეფექტურობისათვის მონაცემთა შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, ესენია შემაჯამებელი სამუშაო სადაც ხდება დაგეგმვა შემაჯამებლების რაოდენობის, შემდგომ ანალიძი, ძლიერი და სუსტი მხარეების, გამოიყენება კიდევ გაკვეთილზე დაკვირვება კოლეგის უკუკავშირი რაც მოიცავს განმავითერბელი გაცემუ კომენტარზე რჩევების გაცემას, ასევე სკოლას აქვს მცდელობა, რომ დანერგოს სადიაგნოსტიკო შეფასება, რისი საშუალებითაც მოახდინოს მოსწავლეთა მიღწევის დონის აღწერა, კომპლექსური დავალების შეფასება და სხავა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. მასწავლებლები თანხვდებიენ, რომ მოსწავლეზე მხოლოდ სასწავლო სივრცე არ ახდენს გავლენას, არამედ; ოჯახი, ფასეულობები, ტრადიციები და ა.შ. ყოველივე ამ ფაქტორების გათვალისწინებით თითოეული რუბრიკა არის მოქნილი და მოსწავლის შესაძლებლობებზე მაქსიმალურად მორგებული. სკოლა ითვალისწინებს, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა,

მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. ყველაზე გამოსაკვეთი არის ამ სივრციდან მოსწავლის აკადემიური და გლობალურ ფუნქციური უნარები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები.
  შეფასება

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც პედაგოგებთან გასაუბრებიდან და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა კურიკულუმი გადაფასდება საგნობრივ კათედრებზე, საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი; კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ თემატურ გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს უზიარებენ

გამოცდილებას და გადამუშავების საფუძველზე ცდილობენ შექმნან საუკეთესო მოდელები. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2.საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს კურიკულუმების განხილვა მომავალშიც გაგრძელდება კათედრაზე და გაითვალისწინებენ როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილბულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუმარის საჯარო სკოლამ წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია(ბრძ.N46, 06/09/2023). კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში ურთიერთთანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს, მსჯელობენ მათთვის საინტერესო საკითხებზე და მიდიან კონსესუსამდე. შეხვედრებზე მასწავლებლებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა კლასებისა და მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილ მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენლის როლია გასაზღვრული კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კურიკულუმის შემუშავებაში კათედრის ყველა წევრია ჩართული. კათედრაზე მასწავლებლები თანხმდებიან ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თემების/საკითხების/ქვესაკითხების შერჩევა სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. სკოლა კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში ხელმძღვანელობს სკოლის საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით. კურიკულუმის დანერგვის პროცესში მეთოდოლოგიის მიხედვით მოხდება გამოწვევების იდენტიფიცირება და შესაბამისი ინტერვენციებს დაგეგმვა, რაც მომავალ კურიკულუმში უნდა ასახოს სკოლამ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3 სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმის შემუშავებაში სრულად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზის და შეფასების საფუძველზე. შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლისათვის სასწავლო პროგრამების და მისი რეალიზებისათვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში კათედრის ყველა წევრი ერთვება და აზიარებს საკუთარ გამოცდილებასა და მიგნებებს შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისათვის. ასევე შეარჩევენ

მექანიზმებს, რომლითაც შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას. კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა რომელიმე კათედრის წევრი რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას მის შემუშავებაში.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს
4.სკოლა გამოცდილების შესაბამისად გეგმავს მომავალი წლის კურიკულუმს. მომავლის გეგმებს უზიარებენ კოლეგებს, მშობლებს. გაზიარებისათვის იგეგმება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა საშუალებები. მაგალითად მშობლებთან კომუნიკაცია შესაძლებელია ელექტრონული ჟურნალით, სოციალური ქსელით და სხვა. სწორად დაგეგმილი კურიკულუმის შედეგია მოსწავლის სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობა, სწავლების რეალური ცხოვრებისეული კონტექსტი.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს
დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება N46 , 06/09/2023;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო 2023-24 ს/წ.;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 საშუალო საფეხურზე საგნობრივი კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები. მათი დამუშავებისთვის საშუალო საფეხურის კლასებში კომპლექსური დავალებები და თემატური მატრიცები წარმოდგენილია ძველ სასკოლო კურიკულუმში, წარმოდგენილია გაკვეთილის გეგმები. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, რესურსების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. გარდა ამისა, თვითშეფასების კითხვარში წერია, რომ კურიკულუმს საფუძვლად უდევს ესგ - ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, ასევე

მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს მრავალმხრივ უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. აქცენტი კეთდება ენობრივი უნრ-ჩვევების განვითარებაზე, ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე, სწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, მოსწავლეზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე, სწავლისადმი პოზიტიური დმოკიდებულების ჩამოყალიბებაზე.მნიშვნელოვანია ისიც, რომ საშუალო საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში ასევე გათვალისწინებულია წინარე ცოდნა, მოსწავლეების ცოდნის კონსტრუირებაში დახმარება, მოსწავლის მოტივაციის შექმნა, სწავლისთვის ხელსაყრელი/პოზიტიური გარემოს შექმნა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.საშუალო საფეხურის ყველა კლასის დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, მაგალითად, მე-10 კლასში ხორციელდება ისეთი სახის კომპლექსური დავალებები, რომლებიც საფუძველს უყრიან პროექტულ სწავლებას. ასევე ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების: იაკობ ცურტაველის ,, წმინდა შუშანიკის წამების'',გიორგი მერჩულის ,,გრიგოლ ხანძთელისა '' და იოანე საბანისძის ,,აბოს წამების '' მიხედვით იგეგმება სასკოლო კონფერენციის მომზადება, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება სხვადასახვა სასკოლო და საგნობრივი პროექტი, ღონისძიება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საშუალო საფეხურზე საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას მხოლოდ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება და ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლები ამ კუთხით ინფორმირებულნი არიან, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.

4.სსიპ - მესტიის მუნიუციპალიტეტის ცხუმარის საჯარო სკოლამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე მუშაობა დაეგეგმათ. აღნიშნულ ეტაპზე განიხილეს შეფასების რუბრიკებიც, კათედრების მიერ საშუალო საფეხურზე იგეგმება განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული, შუალედური მიზნების

საშუალებით - ყოველივე ეს ნათლად გამოიკვეთა ინტერვიუების დროს, გარდა ამისა, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ მრავალფეროვნი შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.საშუალო საფეხურზე საგნობრივი კათედრები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, კათედრის სხდომაზე აკეთებენ გამოვლენილი ხარვეზების ანალიზს, პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებით ადგენენ ახალ კურიკულუმს. წინა წლებში შექმნილმა სასწავლო გეგმებმა გაუადვილა მათ კურიკულუმის კომპონენტებში გარკვევა, თემატურ-სტრუქტურული ერთეულების გამოკვეთა, რასაც მასწავლებლებთან ინტერვიუც ამოწმებს, საგნობრივი კათედრის წევრები რეგულარულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ რეფლექსიას, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. მიღებული ინფორმაციისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის გადამუშავებადახვეწა და განვითარება. წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე დასტურდება სტანდარტებთან შესაბამისობა და სკოლა ამ კრიტერიუმით აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ;
- სკოლის სასკოლო- სასწავლო გეგმა;
- მატრიცები.

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პედაგოგები დიდ ყურადღებას აქცევენ პოზიტიური საკლასო გარემოს ორგანიზებას საშუალო საფეხურზე, რათა მოსწავლეებს გაუაქტიურდეთ წინარე გამოცდილება, აუმაღლდეთ შინაგანი მოტივაცია და სათანადოდ მომზადებული შეხვდნენ სასწავლო პროცესის გამოწვევებს. საშუალო საფეხურზე მნიშვნელოვანია მოსწავლეების ურთიერთთანამშრომლობა თანატოლებთან, პასუხისმგებლობის გაზიარება, უკუკავშირის გაცემა და მიღება, რასაც გამოხატავენ გულწრფელად, რაც მაღალი მიმღებლობის გამომხატველია სასწავლო პროცესში. ამის მტკიცებულებად პედაგოგი შემოიფარგლა ზოგადი აღწერით, რომ საშუალო საფეხურის ყველა კლასში საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები, რისი განხორციელების მწირი გამოცდილება აქვს სკოლას ამ ეტაპზე. მაგრამ პედაგოგები მზად არიან გამოწვევების მისაღებად. წარმოდგენილ კურიკულუმებში და კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან ჩანს, პედაგოგებს ესმით, რომ წამყვან როლს ასრულებს პრობლემაზე ორიენტირებულობა და მოსწავლის ინიციატივების წახალისება სასკოლო ცხოვრებაში. პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ორიენტირებულნი არიან მათ განვითარებაზე და ზრუნავენ მოსწავლეებზე მორგებული პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე. ამისათვის არჩევენ შესაბამის სასწავლო თემებს, მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, თვალსაჩინოებებს, აქტივობებს და მეთოდებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. საგნობივი კურიკულუმები - წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. სკოლის მასწავლებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ წინარე ცოდნის გააქტიურებას სასწავლო პროცესში და ამის მიღწევას ცდილობენ მრავალფეროვანი ხერხებით. საშუალო საფეხურის პედაგოგები ითვალისწინებენ, რომ მოსწავლე უკეთ ითვისებს მასალას, რომელზეც უკვე აქვს გარკვეული წარმოდგენა და როცა ცოდნა იგება მარტივიდან რთულისაკენ. სასწავლო პროცესში უპირატესობას ანიჭებენ ხარაჩოს პრინციპს, რაც ეხმარება მოსწავლეებს დამოუკიდებლად მიაღწიონ ცოდნის შენების პროცესს და მიიღონ სასურველი შედეგი, ცოდნის მიღების კონსტრუქტივისტული მიდგომები ბევრად უფრო საინტერესო და ეფექტურია, რადგანაც მოსწავლე თავად აშენებს ცოდნას. ძალიან ეფექტურია მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში სხვადასხვა დავალებები და განსაკუთრებით კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებისთვის შეთავაზებული აქტივობები, რაც იძლევა მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების განსაზღვრის შესაძლებლობას წინარე ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიყვანოს მოსწავლე ახალ ცოდნამდე. სასწავლო პროცესში სკოლაში უპირატესობას ანიჭებენ ხარაჩოს პრინციპს, კეთებით სწავლებას. საშუალო საფეხურის საგნობრივი

კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ მის ფარგლებში მოსწავლე აგებს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ცოდნას. სკოლას მწირი გამოცდილება აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების, მაგრამ პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას აქტიურად განახორციელონ გაწერილი კომპლექსური დავალებები მომავალ სასწავლო წელს, სამომავლოდ კი გეგმავენ გაზარდონ მათი რაოდენობა და განხორციელების ხარისხი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. პედაგოგებს ესმით და გათავისებული აქვთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. სკოლას აქვს პრაქტიკა და პედაგოგები მაქსიმალურად ცდილობენ მხარი დაუჭირონ მოსწავლის რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე, განსაკუთრებით კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებისას. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კათედრა აქცენტს აკეთებს სწავლის პროცესზე. პრინციპი - სწავლის სწავლა გათვალისწინებულია კურიკულუმში კომპლექსური დავალებების სახით. საშუალო საფეხურზე კომპლექსური დავალების შესრულებისას პედაგოგები არჩევენ მიზნის შესაბამის აქტივობებს. მასწავლებლებთან საუბრისას პედაგოგმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებს მეტად მოსწონთ თავიანთ ძლიერ მხარეებზე საუბარი, ვიდრე სუსტ მხარეებზე. თუმცა საშუალო საფეხურზე გაბედულად საუბრობენ, რა გზა გაიარეს დავალების შესრულებისას: რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ, როგორ გაუმკლავდნენ სირთულეებს. პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას, რომ მომავალში მათი მხრიდან ხელი მეტად შეეწყოს მოსწავლეებში თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების აქტიურად დანერგვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას როგორც სახელმძღვანელოდან, ასევე დამატებით სხვა წყაროებიდანაც. სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. შეუძლია ზუსტად განსაზღვროს მოქმედების ნაბიჯები და თანმიმდევრობა. მაგალითად, ტექსტის დამუშავებისას, კვლევის დროს, პრობლემის გადაჭრისას და სხვა იცის, რა მოქმედებები განახორციელოს, როგორ წაიკითხოს, სად და როგორ მოძებნოს ახალი ინფორმაცია და ა.შ. ასევე, დამუშავებულ მასალაზე დაყრდნობით და მასწავლებლის დახმარებით, შეუძლია ამ ცოდნის გადატანა და გამოყენება კონკრეტულ სიტუაციაში. სკოლაში ხორციელდება პროექტული დავალებები და აქტივობები. მოსწავლეებს უწევთ რესურსების მოძიება, დამუშავება, რაც თავისთავად სახალისო საქმიანობაა მათთვის. მტკიცებულებად პედაგოგები იხსენებენ ადგილობრივ ტრადიციას. ტრადიციის თანახმად, ზამთარში სოფელში ტარდება ,,თოვლის კოშკის დანგრევა". მოსწავლეებმა ამ ტრადიციის შესახებ ინფორმაცია შეაგროვეს სოფლის უხუცესებისგან (მოსწავლეებმა დაამუშავეს კონკრეტული ფაქტობრივი მასალა, გაეცნენ ინფორმაციებს, ანუ დააგროვეს დეკლარატიული ცოდნა), დაამუშავეს მოძიებული ინფორმაცია, დაახარისხეს თემები, დასახეს გზები, როგორ წარმოეჩინათ შეგროვებული მასალა (მოსწავლებმა შეძლეს განესაზღვრათ მოქმედების ნაბიჯები და თანმიმდევრობა, განსაზღვრეს, რა მოქმედებები განეხორციელებინათ და როგორ. ეს ნიშნავს, რომ ისინი ორიენტირებულნი არიან პროცედურულ ცოდნაზე) და სკოლაში წარმოადგინეს პრეზენტაციის სახით (მოსწავლეებმა მოახერხეს ცოდნის მოქმედებაში გადატანა, მისი გამოყენება კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში, ანუ გამოავლინეს პირობისეული ცოდნა). შედეგად, შეიქმნა პოსტერი სამივე საფეხურის მოსწავლეების **მონაწილეობით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ეს სწორედ პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებას ნიშნავს. ისინი წაახალისებენ მოსწავლეების ორიენტირებულობას პრობლემის გადაჭრაზე, კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მის თემატურ დაგეგმვას, მცირე გამოცდილების მიუხედავად, ზრუნავენ სასწავლო პროცესმა უზრუნველყოს სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება მოსწავლეების მხრიდან. ამისათვის საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ კომპლექსური დავალებები.

კომპლექსური დავალებების განხორციელებაში სკოლას ამ ეტაპზე მწირი გამოცდილება აქვს, მაგრამ პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას და სამომავლოდ გეგმავენ ეტაპობრივად გაზარდონ კომპლექსური დავალებების რაოდენობა და დახვეწონ მათი განხორციელების ხარისხი. კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს ერთი საგნის ფარგლებში ან სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ტრანსფერს - გამოყენებას. ამ მიზნით კათედრა სამომავლოდ გეგმავს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- სასკოლო პროექტი.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების შესწავლისა და მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გააზრებული და გათავისებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, მათ შორის ის, რომ საშუალო საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, უცხო ენა, საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ესთეტიკური აღზრდა, ტექნოლოგიები, ფიზიკური აღზრდა და სპორტი) შესწავლისას უნდა დაეუფლოს. საგნობრივი კურიკულუმების ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში მუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მეორე მხრივ, იგი ამოიცნობა მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მასწავლებელთა მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმებში,

რომელთა საშუალებით რეალიზდება მოსწავლეების კრიტიკული აზროვნება, მრავალფეროვნება, კრეატიულობა. ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ სკოლის მიერ სწავლა-სწავლების პროცესი აღქმულია, როგორც კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის. მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა , რომ ისინი პროცესს იწყებენ წინარე ცოდნის გააქტიურებით, მოსწავლეებისათვის მასწავლებლის მიერ შეთავაზებული საკითხი და პრობლემა უცხო არ არის, რაც მოსწავლეებს უზრდის მოტივაციას და საშუალებას აძლევს, რომ იფიქრონ წამოჭრილ პრობლემაზე, გამოწვევაზე, ჩაერთონ იმ აქტივობებში, რომლებსაც მათ მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ახალი მასალის შესწავლასთან ერთად ითვალისწინებს საკუთარ გამოცდილებას, მსჯელობს არგუმენტირებულად, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტიებით, მოძებნოს პრობლემის გადაჭრის გზა. ყველა ეს აქტივობა კი მოსწავლეებისაგან მოითხოვს მობილიზებასა და ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათ შეხვედრაზე მსჯელობისას უკეთ გააცნობიერეს აღნიშნული და ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში გარკვეულ ცვლილებებს შეიტანენ, ე.ი. გამოთქვეს მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი გააგრძელებენ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებებითა და აქტივობებით მოსწავლეების მხრიდან სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ ჭრილში. საკითხების შესწავლის პარალელურად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. ამისათვის სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ისეთი პედაგოგიური მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი თავის შეცნობაში, ინფორმაცია მათ მიეწოდება ასაკის და მზაობის შესაბამისად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში ხშირად იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: როლური თამაშები, სიმულაციები, გონებრივი იერიში, კოგნიტურ სქემებზე მუშაობა და სხვა, საკლასო აქტივობებს ისინი გეგმავენ ისე, რომ გათვალისწინებული იყოს პიროვნული აღიარების აუცილებელი მოხოვნილება და ჯგუფური მუშაობის დროს თანამშრომლობითი უნარების დახვეწა. ამასთანავე მასწავლებლები შექებითა და წახალისებით პოზიტიურ განწყობას უქმნიან მოსწავლეებს სწავლისა და შემეცნების პროცესში; მასწავლებლები მოსწავლეებს აჩვენებენ დადებით მაგალითებს კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისას. აქცევენ ყურადღებას მოსწავლის განსხვავებული აზრებისა და მოვლენების მიმართ დამოკიდებულებას, ახალისებენ განსხვავების მიმართ შემწყნარებლობას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს გამოთქვეს მზაობა, რომ ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში გააგრძელებენ სოციო-ემოციური სწავლების პროცესის განხორციელებას, რათა მოსწავლეებმა ყოველთვის შეძლონ ამოიცნონ საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, გააცნობიერონ სხვების პოზიცია და გამოხატონ ემპათია მათ მიმართ, გაუმკლავდნენ კონფლიქტურ და სტრესულ სიტუაციებს, შეეძლოთ პერსონალურსა თუ სოციალურ ქცევებს შორის კონსტრუქციული არჩევანის გაკეთება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი სკოლას საშუალო საფეხურზე გააზრებული და განსაზღვრული აქვს, პედაგოგებს გათავისებული აქვთ, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, ისიც, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. სწორედ ამ მიზნით მასწავლებლებმა წარმოდგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მიმართულია რა მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე – მაღალი სააზროვნო უნარების ჩამოყალიბებაზე (კრიტიკული აზროვნება; შემოქმედებითობა; კომუნიკაცია; თანამშრომლობა; მოქალაქეობა; ხასიათი/ნებელობა), ასევე ორიენტირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე – შესაბამისად მოსწავლეები აქტიურად ერთობიან საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ამ ეტაპზე წერილობითი განმავითარებელი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებაში არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები მასწავლებლებისაგან იღებენ როგორც მიმდინარე დავალებებში, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებში. შემაჯამებელ დავალებებზე კეთდება წერილობითი ანალიზი, რის შედეგაც დაგეგმილი ინტერვენციები ორიენტირებულია მოსწავლეთა განვთარების მხარდაჭერაზე. მასწავლებლებს არ აქვთ დიდი გამოცდილება მოსწავლეთა მიღწევების შედეგების ტაქსონომიის აქტიურ გამოყენებასა, თუმცა ისინი გეგმავენ განმავითარებელი შეფასება სწორედ მისი გამოყენებით განახორციელონ, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, დაადგინოს როგორ გაიაზრა მისმა მოსწავლემ თითოელი სამიზნე ცნება, რამდენად ახერხებს იგი შეძენილი ცოდნის გამოყენებას, შესაბამისად მისცეს განმავითარებელ კომენტარი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ჰოლისტური განვითარების პროცესში ამოსავალი წერტილი უნდა იყოს მოსწავლისაგან მიღებული მოლოდინები და შესაბამისად სასწავლო პროცესი ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს. პედაგოგებმა საგნობრივ ექსპერტებთან გასაუბრების დროს გამოთქვეს მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებებისას ყოველთვის გაითვალისწინებენ არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ უნარებს, არამედ სოციალურ და ოჯახურ მდგომარეობას. ასევე ისინი გააგრძელებენ მუშაობას სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნაზე. პედაგოგთა ამგვარი პოზიცია მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდამჭერი შეფასება განახორციელოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ასევე მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ სკოლაში საშუალო საფეხურზე მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. საბაზო საფეხურზე მასწავლებლები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლეებს აფასებენ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით, რომელშიც განსაზღვრულია შეფასების მიზანი, ე.ი. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით, ასევე კრიტერიუმები, რომლებიც ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენს რეფლექსიას მათი სწავლის პროცესზე. აღნიშნულ რუბრიკებს შეიმუშავებენ მასწავლებლები, განიხილავენ და თანხმდებიან საგნობრივი კათედრების სხდომებზე, ხოლო პედაგოგიური საბჭო მათ ამტკიცებს. ასევე, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს სასწავლო პროცესში გამოყენებული თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეებისა და მშობლებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების სისტემა.

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს გამოთქვეს მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი ახალ სასწავლო წელსაც გააგრძელებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე მუშაობას, კერძოდ შექმნიან სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორებზე დაყრდნობით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, ხოლო განმავითარებელ შეფასებებს მოსწავლეებს მისცემენ საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად ცნების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით შექმნილი რუბრიკების გამოყენებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. დასკვნის პროექტში მითითებული იყო „ცხუმარის სკოლის მიერ წარმოდგენილია ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტით ვერიფიკაცია განსაზღვრულია როგორც შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც გამოიყენება შეფასების ინტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების შეფასების სისტემის მიმართ დადგენილ მოთხოვნებთან უზრუნველსაყოფად. თუმცა დოკუმენტში შემდეგ აღარ იკითხება, თუ როგორ, რა გზებით მოახერხებს სკოლა შეფასების ინტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას.“

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნვლყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც ვერიფიკაციის დოკუმენტის შემუშავების ვადად განსაზღვრა 23.10.2023-15.11.2023 წწ პერიოდი. შესაბამისობის გეგმაში მიუთითა შემუშავების პროცესი დასრულებულად, თუმცა დოკუმენტი არ წარმოუდგენია. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ვერიფიკაციის დოკუმენტზე სამუშაო ვადა სკოლას ჯერ კიდევ ჰქონდა. გამომდინარე იქიდან, რომ დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ვერიფიკაციის დოკუმენტის შემუშავება უზრუნვლყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

6. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. დირექტორის სამართლებრივ - ადმინისტრაციული ბრძანებით განსაზღვრული აქვს ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. კათედრის მიერ მოსწავლეთა მიერ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით, თუმცა ეს პროცესი უფრო სპონტანურია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მარეგულირებელი აქტი/წესი/მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხა და შენახვა მინიმუმ 3 წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ასკოლო კურიკულუმი;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები;
- ვერიფიკაციის დოკუმენტი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწვლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა, მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. შესაბამისად სკოლა ზრუნავს უზრუნველყოს მოსწავლეებისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემო. ითვალისწინებს მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სსხვადასხვა აქტივობებს, კვირეულებს, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობისა და დადებითი განწყობის უზრუნველსაყოფად. კომპლექსური დავალებების პირობების შედგენისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.სკოლა აცნობიერებს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვის მნიშვნელობას. ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა მასწავლებლები ცდილობენ გამოიკვლიონ მოსწავლეთა საჭიროებები და პრობლემები, გააანალიზონ მოსწავლეთა სასწავლო შედეგები და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. ახალი ცოდნის აგება დააფუძნონ უკვე ნასწავლს, საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეთათვის ნაცნობი შინაარსის მატარებელი გახადონ. სკოლა გეგმავს და ახორციელებს ისეთ ღონისძიებებსა და სასწავლო პროექტებს, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას უზრუნველყოფს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესის დაგეეგმვაში, როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს, კათედრა აქტიურად თანამშრომლობს. სასწავლო პროცესში გამოვლენილი გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად, როგორც წესი, ასევე მასწავლებელთა გუნდი მუშაობს. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს პროცესებს. განსხვავებულად აფასებენ და მათი გადაჭრის განსხვავებულ გზას წარმოაჩენენ და შემდეგ ერთობლივი დისკუსიითა და განხილვებით ღებულობენ გადაწყვეტილებას. თანამშრორმლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწვალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად რაც ადასტურებს სკოლაში არსებულ თანამშრომლობით კულტურას და ჯანსაღ კომუნიკაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში იმართება ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებები კვირეულების სახით, წახალისებულია თანატოლების თანამშრომლობა პროექტის ფარგლებში, იგეგმება და ხორციელდება მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები, კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და მისი შესაბამისი აღჭურვილობა, რაც ხელს უშლის კურიკულუმის განხორციელებას საშუალო საფეხურზე.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- სასკოლო კვირეულისა და აქტივობების გეგმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას.მონიტორინგის მექანიზმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. ასევე იგეგმება კათედრებზე, მონიტორნიგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, შემდეგ - სკოლის დონეზე, საჭიროებიდან გამომდინარე- მშობლისა და მოსწავლის დონეზე. ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია**

2. სწავლის პროცესის მონიტორინგი ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მონაცემების დამუშავება ხდება კათედრის სხდომებზე.პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება გადანაწილებულია თითოეულ მასწავლებელზე. კათედრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. მათ გათვითცნობიერებული აქვთ რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ თანამშრომლობენ კლასის დამრგიგებლებთან. ამის დასტურია ,,დამრიგებლის საათი''. ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია**

3.მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი თვლიან მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურებოდეს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. იგივე შეგვიძლია დავასკვნათ სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარიდან. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ►სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- ►აგნობრივი კურიკულუმები;
- ►ასაუბრება პედაგოგებთან.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდებით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ. სასწავლო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა სტრატეგიები, როგორიც არის კითხვა პასუხი, ტესტური დავალება და შემდგომ მისი ანალიზი, ზედაპირული დაკვირვება კოლეგა მასწავლებლის მხრიდან მიწოდებული უკუკავშირი, რაც ერთობლიობაში ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ვთქვათ სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. შეფასების უფრო მოსწავლეზე ორიენტირებულად წარსამართავად სკოლაში ხშირად იმართება კათედრის წევრებს შორის აქტიური საუბრები, სადა იხილება ის ფაქტობრივი კონტექსტი, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის დამოკიდებულებებზე და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობაზე ამისათვის კომპლექსური დავალება გულისხმობს მოსწავლეების მზაობის, უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებას, სკოლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად, გააკეთებს ანალიზს და მოახდენს ისეთი ფორმით დასკვნის წარმოდგენას, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლა სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების ეფექტურობისათვის მონაცემთა შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, ესენია შემაჯამებელი სამუშაო სადაც ხდება დაგეგმვა შემაჯამებლების რაოდენობის, შემდგომ ანალიძი, ძლიერი და სუსტი მხარეების, გამოიყენება კიდევ გაკვეთილზე დაკვირვება კოლეგის უკუკავშირი რაც მოიცავს განმავითერბელი გაცემუ კომენტარზე რჩევების გაცემას, ასევე სკოლას აქვს მცდელობა, რომ დანერგოს სადიაგნოსტიკო შეფასება, რისი საშუალებითაც მოახდინოს მოსწავლეთა მიღწევის დონის აღწერა, კომპლექსური დავალების შეფასება და სხავა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასებას რომელიც იქმნება სკოლაში, მასწავლებლები თანხვდებიენ, რომ მასზე მხოლოდ სასწავლო სივრცე არ ახდენს გავლენას, არამედ; ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ. ყოფელივე ა ფაქტორების გათვალისწინებით თითოეული რუბრიკა არის მოქნილი და მოსწავლის შესაძლებლობებზე მაქსიმალურად მორგებული. სკოლა ითვალისწინებს, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია

ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. ყველაზე გამოსაკვეთი არის ამ სივრციდან მოსწავლის აკადემიური და გლობალურ ფუნქციური უნარები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც პედაგოგებთან გასაუბრებიდან და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა კურიკულუმი გადაფასდება საგნობრივ კათედრებზე, საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი; კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ თემატურ გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გადამუშავების საფუძველზე ცდილობენ შექმნან საუკეთესო მოდელები. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2.საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს კურიკულუმების განხილვა მომავალშიც გაგრძელდება კათედრაზე და გაითვალისწინებენ როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------- ----------

13.11.2023 წ.